რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 19 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ [illegible] ადრესით: Тифлисъ почтов. ящ. 129. Редакція „Эртоба“. [illegible] რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. (Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 20~~0~~1 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 20~~0~~1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებულნი ამხანაგები თფილისის სადგურის რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტის და აღმასრულებელ კომისიის წევრები ამით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის, თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის

დიომიდე ივანეს ძე მდინარაძის

ათი დღის ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას, რაც მოხდა რკინის გზის საავადმყოფოში. პანაშვიდი და გამოსვენება საავადმყოფოდან სადგურზე დანიშნულია დღეს, საღამოს 4 საათზე, საიდანაც გაასვენებენ სამშობლოში.

ღრმად დამწუხრებული მამა ივანე, დედა, მეუღლე ქსენია, და შვილები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს პირველის და მეორის საყვარელი შვილის, მესამე ძვირფასი ქმრის, ბოლო მეოთხეს მარად დაუვიწყარ მამის

დიომიდე მდინარაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 18 ნოემბერს, რკინის-გზის საავადმყოფოში, 10 დღის ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა მოხდება 23 ნოემბერს სოფ. ჯვარცხმაში დილის 11 საათზე.

გულ მოკლულნი ჭირისუფალნი: მეუღლე ლიდა მიქიე მშვენიერაძის ასული ბეჟიაშვილისა, შვილობილი ანიკა წერეთელი, ცოლის ძმა იაკობ, ცოლის დები: ელენე და ფელისი მშვენიერაძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოში 8 [illegible] გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორის საყვარელი მამობილი, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასი სიძე

ვარლამ ალექსის ძე ბეჟიაშვილი

შუშანიკა ნესტორის ასული გალდავა აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 19 ნოემბერს, დილის 12 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დაუვიწყარი

დის ფატიას და ძმის დალმატი

გალდავას

სულის მოსახსენებლად.

მოქალაქენო!

ბინათა რიცხვის გამოსარკვევად, თბილისის ქალაქის სამმართველო ამ დღეებში შეუდგება ბინების აღწერას. ქალაქის სამმართველო სთხოვს მოქალაქეებს, რომ აღმწერლებს, რომლებიც იქნებიან აღჭურვილნი სათანადო მოწმობებით, მისცენ სრული და უტყუარი ცნობები. ცრუ ცნობების მიმცემი კანონის ძალით პასუხისგებაში იქნება მიცემული. (2—2)

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე,

დანიშნულია თფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა

წრის წლიური კრება

დღის წესრიგი: ახალი საბჭოს ამორჩევა. ეს კრება უკანასკნელია, რადგან ორი წინა კრება ვერ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. გიმნაზია საშიშ მდგომარეობაშია ნივთიერის მხრივ და აუცილებელია ყველა ჭირისუფალი თან ახლდეს მას ამ განსაცდელის დროს.

საბჭოს თავმჯდომარე გ. ბარნოვი.

თფ. ქალაქის თვითმართველობა

ამით აცხადებს, რომ სად. ავჭალის პირველ-დაწყებით სამოქალაქო სასწავლებლისათვის საჭიროა მასწავლებელი ქალი. მასწავლებლისათვის აუცილებელია იცოდეს ქართული ენა და ჰქონდეს შესაფერი სწავლის ცენზი (7—8 კლასი გიმნაზ.).

თვიურ ჯამაგირად სამხედრო მიმატებით ეძლევა—120 მანეთი; დღიურების სახით ხაზინიდან—24 მან. და აგრეთვე ბინა შესაფერი გათბობა განათებით.

თხოვნებთან უნდა წარმოდგენილ იქნას დიპლომის კოპიო. თხოვნები მიიღება ქალაქის თვითმართველობის სამოსწავლო განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა № 4) პირველ დეკემბრამდე.

ამიერ კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.

20 ნოემბერს თფილისში გაიხსნება კოოპერატიული კურსები კოოპერატივებში მომუშავეთა და იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ კოოპერატივებში მუშაობას.

კურსებზე მთავარი ყურადღება ექნება მიქცეული მოხმარებელ და საკრედიტო კოოპერატივებში ანგარიშების და საქმის წარმოებას.

კურსების პროგრამა:

1.	პოლიტიკური ეკონომია	12 ს.	ლექტორი	გ. ი. ერხტმანი.
2.	კოოპერაციის თეორია	12 ს.	„	კ. პ. კანდელაკი.
3.	კოოპერაციის ისტორია	8 ს.	„	შ. ნ. გამბელია.
4.	საკოოპერაციო კანონმდებლობა	8 ს.	„	რ. ა. აგამაზოვი.
5.	ბუღალტერია	8 ს.	„	ა. ს. ახატიანი.
6.	მოხმარებელ კოოპერატ. ანგარიშების წარმოება	36 ს.	„	შ. ზ. გოგებაშვილი.
7.	საკრედიტო კოოპერატივ. ანგარიშების წარმოება	36 ს.	„	ა. ბ. გრიგოლია.
8.	მოწყობა და გამგებლობა მოხმ. კოოპერატივებისა	10 ს.	„	შ. ზ. გოგებაშვილი.
9.	მოწყობა და გამგებლობა საკრედ. კოოპერატივებისა	10 ს.	„	ა. ბ. გრიგოლია.
10.	კავშირების წყობილება	4 ს.	„	კ. პ. კანდელაკი.
11.	სასურსათო საქმის მოწყობა	4 ს.	„	შ. გ. გამბელია.

კოოპერატივების მიერ გამოგზავნილ პირთათვის კურსები უფასო იქნება; გარეშე პირნი, რომელნიც მიიღებენ კურსებზე თუ თავისუფალი ადგილები იქნება, გადაიხდიან 30 მ.

კურსების დამთავრების შემდეგ მსურველთათვის დანიშნული იქნება გამოცდები და გამოცდის შემდეგ მიიღებენ შესაფერ მოწმობებს.

საბჭოს მიერ მიღებულია ყველა ზომები, რომ პროვინციიდან გამოგზავნილი მსმენელნი უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით და სურსათით შეღავათიან ფასებში (პროვინციიდან ჩამოსულებმა უნდა იქონიონ საბანი და ბალიში).

კურსებზე ჩაწერა მიიღება: ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში, თბილისი, ნიხილის ქუჩა № 178. 3—3

ბოლშევიკების დემაგოგია

ბოლშევიკების დროებითი „მთავრობა“ უფსკრულისაკენ მიექანება. ყოველ დღე ლენინ-ტროცკის „სახალხო“ კომისრები [illegible] ეფლობიან და გამოსავალ გზას ვერ პოულობენ.

მართალია ავანტიურისტებმა „ძალა-უფლება“ ჯარის ერთი ნაწილით ხელში ჩაიგდეს, მაგრამ ეს ძალა სახელმწიფოს ეკონომიურ, პოლიტიკურსა და ფინანსიურ კრიზისს უფრო მეტად ართულებს და მთელ რუსეთის რევოლიუციას წარმოუდგენელ კატასტროფას უმზადებს. ტაქტიკით და [illegible] მხედველობით ანარქო-ბლანკისტები დღითიდღე ვერაფერს აკეთებენ, არეულ-დარეულ ეკონომიურ თუ ფინანსიურ ცხოვრებაში ოდნავ წესიერება ვერ შეიტანეს და მათი „რადიკალური და სოციალისტური“ დეკრეტები სრულ სიკოტრეს განიცდიან.

ლენინ ტროცკის ქადაგების სოციალიზმი ამ ჟამათ მხოლოდ დეკრეტებით იკვებება და მათი ბრძოლის ერთადერთ იარაღათ ახლა მხოლოდ დემაგოგია ითვლება. როგორც ვიცით, ლენინ-ტროცკიმ ახალი სასურსათო დეკრეტი გამოსცეს, რომლითაც ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს მოუწოდებენ, რომ მათ სოფლებთან პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა დაიწყონ და ქალაქების მცხოვრებლებმა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ქარხანა-ფაბრიკების მუშებმა ამ გზით მიიღონ სოფლებიდან საჭირო სურსათი.

ბოლშევიკების ოფიციოზი გაზ. „პრავდა“ სასურსათო კრიზისის მოსაწესრიგებლათ სხვა გზას ვერ პოულობს და ამ გზას ერთად-ერთ სწორ და უტყუარ საშუალებათ სთვლის. დასახელებული გაზეთის შენიშვნით მხოლოდ პირდაპირი გაცვლა-გამოცვლის მეოხებით შეიძლება რუსეთის 170 მილიონი მცხოვრებნი არსებულ სურსათის კრიზისიდან გამოიყვანოს და ყველაფერი რიგზე მოეწყოს. ჩვენ ასეთი საშუალება წმინდა ანარქისტულ საშუალებათ მიგვაჩნია და იგი მაწარმოებლების მაგიერ უფრო მეტ არევ-დარევას შეიტანს ცხოვრებაში. აბა, როგორ შეიძლება პეტროგრადისა თუ სხვა რომელიმე ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა, რომლებიც თავიანთ საქმეზე მუშაობენ, რომლებიც ზარბაზნებს, ყუმბარების ტყვია-წამალს ამზადებენ, როგორ უნდა გაგზავნონ სოფლებში თავიანთი ნაწარმოები და როგორ უნდა მიიღონ ამაში საჭირო პური და სხვა სურსათი?.. ამაზე პასუხს ბოლშევიკების ბრძენი ლიდერები გვაძლევენ.

მაგრამ ამას ბოლშევიკები არ დაგიდევენ. მათ დეკრეტების ქარხანა მოაწყვეს და ახალ ახალი ტიპის პროექტებს და დეკრეტებს აცხობენ და ამით ჰგონიათ ყველაფერი რიგზე მოეწყობა, მხოლოდ როცა დაინახეს, რომ მათი დეკრეტები ჰაერში გამოკიდებულ ლოზუნგებათ გადაიქცა, ამიტომ ცხადათ და მიჰყვეს ხელი უფრო წოდებრივ უმსგავსო დემაგოგიას. ამ შეცთენაში მათ ბადალი არავინ ჰყავთ და გულ-მოდგინედ ეწევიან ამ „სასიქადულო“ საქმეს. ჯერ იყო და ბოლშევიკებმა მთელი სოციალისტური პარტიები, რასაკვირველია, გარდა ლენინ-ტროცკის ფრაქციისა, პროლეტარიატის მტრებათ მონათლეს და ყველა ბურჟუაზიის მომხრეებათ გამოაცხადეს. ვინც მათი ანარქო-ბლანკისტური ტაქტიკის მომხრე არ არის, მუშათა კლასის მტერი და წინააღმდეგია, მაგრამ მათი ასეთი დემაგოგია შეგნებულ პროლეტარიატში ზიზღსა და საყვედურს იწვევს და ლენინ-ტროცკის მიერ დაგეშილ მასაში მხოლოდ ჯარის ერთი ნაწილი და დემოკრატიის ამა თუ იმ მდგომარეობით უკმაყოფილო ელემენტები ებმიან.

დემაგოგია ბოლშევიკებისათვის უდიდესი იარაღია და ამაში რუსეთის ბოლშევიკებს ამიერ კავკასიის ბოლშევიკები გაცილებით წინ ასწრობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენებური პიგმეი პროვოკატორები დემაგოგიის გზაზე დადგნენ, თავს ევლებიან და ამიერ-კავკასიის მიერ შექმნილ დროებით მთავრობის წინააღმდეგ საზიზღარ ჭორებს ავრცელებენ.

ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკების მიერ შექმნილმა ავანტიურამ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური ორგანოები, რევოლიუციონური ცენტრები იძულებული გახადა დროებით მთავრობა შეედგინა და ამ მთავრობის მეოხებით ბოლშევიკების მიერ გამოწვეული ეკონომიური, ფინანსიური და პოლიტიკური ანარქია გაენელებინა და საერთოდ რევოლიუციური ფრონტი არ დაერღვიათ.

ბოლშევიკებმა დრო იშოვეს, მათ უმსგავსო დემაგოგიის ახლა საშუალება მიეცათ და ამიერ კავკასიის დარაზმულ და შეგნებულ დემოკრატიას სეპარაციას უკიჟინებენ. განსაკუთრებით ფრონტზე და ფრონტის ზურგს უკან მყოფ ჯარში და მშვიდობიან მცხოვრებში წერილით თუ სიტყვით ხმებს ავრცელებენ, თითქოს ამიერ კავკასიის ხალხმა უკვე თავისი მთავრობა შეადგინა და მათ რუსეთიდან გამოყოფისაკენ ფაქტიური ნაბიჯი გადადგესო. ეს ისეთი საზიზღარი და ქვეყნის დამღუპველი დემაგოგია, რომელსაც შეუძლიან ამიერ კავკასიაში მოქალაქეობრივ საშინელ ბრძოლას ზედ ნაციონალური შუღლიც დაერთოს და ამ გზით წარმოიშვას წარმოუდგენელი სისხლის ღვრა.

მერე რაზე იჯღანებიან ასე ჩვენებური ბოლშევიკები? ნუ თუ იმიტომ, რომ ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიამ შექმნა რევოლიუციონური მთავრობა, რომელმაც მრავალი დემოკრატიული ნაბიჯი უნდა გადასდგას და ამ გზით ეკონომიურ, ფინანსიურ და პოლიტიკურ ანარქიას ბოლო მოუღოს. დიახ, უპასუხისმგებლო ანარქისტები არაფერს არ ერიდებიან, ყოველგვარ დემაგოგიას ეწევიან, ოღონდ კი თავიანთ მოწინააღმდეგე გააშავონ, მას ხალხის თვალში ნდობა დაუკარგონ და მით თავისი ვიწრო ფრაქციული ანგარიშები გაასწორონ. მაგრამ მათ უმსგავსო დემაგოგიას ადრე თუ გვიან ბოლოც მოეღება და შეგნებული დემოკრატია სამარცხვინოთ ზურგს შეაქცევს მათ.

ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკლარაციის გამო

ბოლშევიკების გამოსვლით გამოწვეულ ანარქიას და სამოქალაქო ომის შემდეგ ფრიად რთულ და პასუხსაგებ მომენტში უხდება კავკასიის დემოკრატიას მთელი ამიერ კავკასიის ხალხის მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთი იკისროს. უკვე სამი კვირა იქნება, რაც ამიერ კავკასია ფაქტიურად ჩამოშორდა ცენტრალურ რუსეთს, უმეტესად მას შემდეგ, რაც მოეწყო ყაზახთა, მთიელთა და ბარელთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი. მთელ მხარეს ფრიად დიდი საფრთხე მოელოდა ანარქიის და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ მთელი უფლებების დაღუპვის. აი რამ აიძულა ამიერ კავკასიის დემოკრატია ხელში აეღო მთელი მხარის მართვა გამგეობის საქმე სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე და ერთგვარ დემოკრატიულ-სოციალისტურ მთავრობის შედგენამდე.

ბოლშევიკების დემაგოგები და ზოგი ელემენტები ცდილობენ ამ ფაქტს ისეთი ხასიათი მისცენ, თითქოს ამიერ კავკასიას უნდოდეს რუსეთიდან სამუდამოთ ჩამოშორება. ამიერ კავკასიის კომისარიატის ქვემოთ დაბეჭდილი დეკლარაცია კატეგორიულად უარჰყოფს ყოველივე პროვოკაციულ ხმებს ამის შესახებ. რევოლიუციის მიერ მოპოვებულ უფლებების გამაგრებით და მისი მომავალი განვითარებით, ერთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტის შექმნა არის ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის ერთად-ერთი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია ყოველ ხანს იმახსოვრებს, რომ ლაგამი ამოსდოს დემაგოგებს და ხელი შეუშალოს მათ გამოსვლას.

დეკლარაციაში აღსანიშნავია ის ფრიად საგულისხმიერო ფაქტი, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი, რომელიც მთელ თვის მოქმედებაში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ამიერ კავკასიის ცენტრის წინაშე პასუხის მგებელია, თავის მთავარ მიზნათ ისახავს რევოლიუციის მიერ წამოყენებულ სოციალ-პოლიტიკური კითხვების დაუყოვნებლივ გადაჭრას. ჯერ კიდევ დემოკრატიულ თათბირის წინ კავკასიის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ გამოსთქვა აზრი დაუყოვნებლივ ჩამორთმევას სახელმწიფო, სამონასტრო, საუდელო, საკაბინეტო და მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მიწები და გადაეცეს მიწის დემოკრატიულ კომიტეტებს. ამიერ კავკასიის კომისარიატი შეუდგება მიწის კანონის პრაქტიკულად გადაჭრას. ამ მხრით პირველი ნაბიჯი იქნება ზემოდ ჩამოთვლილ მიწების კონფისკაცია. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ახალი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, მიწის შესახებ პროგრამის განსახორციელებლათ, რადგან ეს მეტადრე შეაჯგუფებს გლეხთა ფართე მასას და გაამაგრებს რევოლიუციას, მასში ფართე მასის და აღმოსავლეთ კავკასიის გლეხთა ჩაბმით, რომელნიც ჯერ კიდევ ბეგების და ბურჟუაზიულ—კლერიკალურ წრეების ფართე გავლენის ქვეშ იყვნენ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი დეკლარაციაში მიზნათ ისახავს მიიღოს ენერგიული ზომები დაუყოვნებლივ მოხდეს ზავი, ეს კითხვა დღიურ წეს რიგშია შეტანილი. მთელი რევოლიუციონური დემოკრატია ისწრაფვის ზავისაკენ. მთელი რევოლიუციონურ ჯარის სურვილიც ეს არის. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა ჩრდილოეთ კავკასიის მეზობლებთან სრულ შეთანხმებით, და დასავლეთ ფრონტზე არსებულ მდგომარეობის მიხედვით, მიიღებს გადამჭრელ ზომებს შეაჩეროს ხალხთა ხოცვა-ჟლეტა.

ამიერ კავკასიის კომისარიატს მთელი მხარის მართვა გამგეობა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ჩააბარა. ეს დემოკრატია სავსებით მხარს დაუჭერს მას რევოლიუციის მიერ მოპოვებულ უფლებების გასამაგრებლად და მის შემდეგ განსავითარებლათ, და აგრეთვე ყოველ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლის ჩასაქრობათ.

ლენინ-ტროცკის ტერორი

ლენინ ტროცკის დიქტატურა ტერორზე დაფუძნებია და სოციალისტებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ ხიშტებით ილაშქრებს.

არა-მეტიზე მაცხოვრებმა „ძალა-უფლება“ ხელში ჩაიგდეს და ფართო დემოკრატიულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს სასტიკი დევნა დაუწყეს. დახურეს და შეაჩერეს სოციალისტური გაზეთები, დევნა და ჩხრეკა დაუწყეს პროლეტარიატის ინტერესების საუკეთესო დამცველებს. მოსკოვის სამხედრო „რევოლიუციონურმა“ კომიტეტმა განსაკუთრებული დეკრეტი გამოსცა და მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის საბჭო, რომელიც საყოველთაო საარჩევნო სისტემით იყო არჩეული, დაშალა და საბჭოს წევრები გარეკა.

ერთი სიტყვით, ლენინ-ტროცკის უპასუხისმგებლო „მთავრობამ“ ისტორიის არქივიდან იაკობინელებისა და ანარქისტების ბრძოლის საშუალება გამოძებნეს და თეთრი ტერორი ყველა სფეროში გაბატონეს.

ჩვენ სწორ-უპოვარ ანარქო-ბლანკისტებს დავიწყებიათ, რომ ყოველი რევოლიუციონური მართველობა მხოლოდ და მხოლოდ ფართო დემოკრატიაზე უნდა იქნას დამყარებული და ერთი პატარა ჯგუფის მიერ პროლეტარიატის „ძალა-უფლების“ ხელში ჩაგდება ხანგრძლივი არ გამოდგება და მას ისეთი ბედი მოელის, როგორი ბედიც ეწვია საფრანგეთის 1871 წ. კომუნარებს. მათ დავიწყებიათ, რომ ტერორი პროლეტარიატის ძალა-უფლების იარაღს არ შეადგენს და მას პროლეტარიატი არა დროს ბრძოლის საშუალებათ არ აღიარებდა. საზოგადოთ, ტერორი იმის მაჩვენებელია, რომ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია, თუ რეაქციონური მთავრობა, როცა მას ბრძოლის საშუალებათ ხმარობს, იგი სუსტი და უმცირესობათა ორგანიზაციაა.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ სასტიკათ კიცხავდა ფრიდრიხ ენგელსი 1793 წ. რევოლიუციის დროს გამეფებულ ტერორს და იგი ამ წერილში ამბობს, რომ ტერორის მომხრეები ტერორის მიერ გამოწვეულ საშინელებით თავიანთ სისუსტეს ამტკიცებენ და ამ გზით ცდილობენ თავიანთ თავის დაწყნარებას.

ლენინ-ტროცკი ტერორის მეოხებით ცდილობენ თავიანთ უტოპიური იდეების განხორციელებას და ფართო დემოკრატიაზე დაუნდობელი იერიშები მიაქვთ. ვინ არ იცის, რომ სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ საჭიროა მომწიფებული ობიექტიური და სუბიექტიური პირობები და არა ტერორი და ხიშტების ტრიალი, მხოლოდ ეს არ იციან ლენინ-ტროცკის ტიპის ავანტიურისტებმა და მათ ამყოლ-დამყოლთ, და თუ ისინი მაინც განაგრძობენ თავიანთ საბედისწერო მოქმედებას—ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მათ ავანტიურისტულ ბატონობას ნიადაგი ეცლება და ისინი ტერორის საშუალებით ცდილობენ შერყეულ მდგომარეობის განმტკიცებას. მაგრამ ამაოდ! ძალმომრეობა და ტერორი ობიექტიურსა და სუბიექტიურ პირობებს ოდნავ ვერ დაამწიფებს. პირიქით, მით უფრო მეტათ არევ დარევას შეიტანს და მით წარმოუდგენელ ანარქიას გააჩაღებენ. ტერორი ანარქისტების ბრძოლის საშუალებაა და მას შეგნებული პროლეტარიატი პოლიტიკური ბრძოლის იარაღათ ვერ გახდის. დიახ, ეს საშუალება ლენინ-ტროცკის პოლიტიკური ბრძოლის იარაღათ გადაიქცა და მის მეოხებით განმტკიცდენ ბოლშევიკები.

ჩვენი ბოლშევიკები და კავკასიის კომისარიატი.

როგორც მკითხველმა იცის, შესდგა ამიერ-კავკასიის დროებითი მმართველობა, ანუ კავკასიის კომისარიატი. ჩვენმა პარტიამ ამ მთავრობის შედგენაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ცხადია, სხვანაირათ მოქცევა ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან ჩვენ ვალდებული ვართ ყოველგვარ მოვლენას, რასაც ცხოვრებაში მნიშვნელობა აქვს ანგარიში გავუწიოთ. ჩვენ ცხოვრებაში კი შემდეგი მოხდა: პეტროგრადში დაეცა მთავრობა, რომელიც უძლური გამოდგა. მაგრამ მისი ადგილი დაიჭირა არა მთელი დემოკრატიის ნდობით აღჭურვილმა მთავრობამ, არამედ ბოლშევიკების პარტიამ რომელმაც ისარგებლა ხალხის უკმაყოფილებით და დაეყრდნო უმთავრესათ ფიზიკურ ძალას. ჩვენ, რასაკვირველია, ტოლსტოის მიმდევრები არა ვართ, ვცნობთ ძალის საჭიროებას, მაგრამ როცა ძალას მიმართავენ მუშების, გლეხების და წვრილი ხალხის წინააღმდეგ—ეს ჩვენ არ მიგვაჩნია ნორმალურ მოვლენათ. ბოლშევიკებმა კი ეს სისტემათ გამოაცხადეს და მიმართეს ტერორს, მოინდომეს ძალით დამორჩილება ყველა იმათი, ვინც ბოლშევიკურათ არ აზროვნებდენ. ამან გამოიწვია სოციალისტურ გაზეთების დახურვა, მოსკოვის თვითმართველობის გარეკვა და სხვ.

ცხადია ჩვენ ვერ ვეცდებოდით და ვერც ახლა ვეცდებით ბოლშევიკების მიერ ცრუ გზაზე დაყენებულ მასის გრძნობებს აჰყვეთ და მის შეცდომების ცხოვრებაში გატარებას ხელი შევუწყოთ. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვაშინებს ბოლშევიკების ლანძღვა-გინება. ჩვენი პოზიცია აშკარა იყო და არის: ჩვენ გვინდოდა და ახლაც გვინდა ძმათა შორის სისხლის ღვრა მოისპოს და შესდგეს ისეთი მთავრობა, რომელსაც მთელი ქვეყანა ენდობა. მაშ რა? განა თითონ ჩვენმა ბოლშევიკებმა არ იციან, რომ რუსეთში არ არსებობს ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა? განა მარტო კადეტები მიდის ლენინის ავანტიურის წინააღმდეგ? ასე რომ იყოს, მაშინ ხომ თითონ ბოლშევიკების ნაწილი არ წაუვიდოდა ბოლშევიკების მთავრობას და აღმასრულებელ კომიტეტს.

მართალია, ბოლშევიკები ახლა მათ დეზერტირებს და გამყიდველებს, მოღალატეებს უძახიან, მაგრამ ლანძღვა-გინებას ხომ არ ძალუძს შესცვალოს, გააქარწყლოს ფაქტის მნიშვნელობა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადზე უცხადესია: კერენსკის მთავრობის დაცემის შემდეგ იურიდიული ნიადაგი გამოეცალა ადგილობრივ საგანგებო კომიტეტს. ცხოვრება [illegible]. საჭირო იყო თუ არა რაიმე მთავრობის შედგენა? ბოლშევიკები თვით არ უარყოფენ ამას, მაგრამ ისინი ილაშქრებენ ახალი კომისარიატის წინააღმდეგ.

საბუთი? საბუთი ის არის, რატომ მუშათა საბჭოებმა არ იკისრეს საბჭოს მთავრობის შედგენა.

გრძნობენ თუ არა ბოლშევიკები, რომ როცა ჩვენ გვლანძღავენ, ამით ადგილობრივ საბჭოებს ლანძღავენ? განა საბჭო ვალდებულია, უსათუოთ ბოლშევიკური გზა აირჩიოს? და ნუ თუ ის მოღალატე და გამყიდველია, მარტო იმიტომ, რომ ბოლშევიკური არ არის? „მთავრობის მთელი შემადგენლობა აშკარა მტერია რუსეთის რევოლიუციისა", სწერენ ბოლშევიკები. ეგზენი გადამეტებული მტერი ყოფილა რუსეთის რევოლიუციისა! „არც ერთი მისი წევრი არ არის მომხრე პროლეტარიატის გამარჯვებისა", სწერენ ბოლშევიკები კავკასიის ახალი მთავრობის შესახებ.

საიდან გაიგეს ეს ამ დაბრმავებულმა ადამიანებმა?

დასასრულ ბოლშევიკები მოუწოდებენ ხალხს: **არავითარი ნდობა ამ მთავრობასო**, ენერგიული ნდობა გამოუცხადეთ პეტროგრადის მებრძოლ პროლეტარიატს და სხვ.

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ ბოლშევიკები უპასუხისმგებლო დემაგოგებია. ეს ამ შემთხვევაშიაც მართლდება.

მართლაც, ჩვენ შევქმენით მთავრობა, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს უსაჭიროესი რეფორმები: ხალხისთვის მიწის გადაცემა, ერობის შემოღება, წოდებათა გაუქმება და სხვ. ამ მთავრობის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ. ბოლშევიკები კი გამომდგარან და გაიძახიან: არ ენდოთ ამ მთავრობასო.

როგორ მოგვაგონებენ ბოლშევიკები ერთი ზღაპრის სულელს, რომელიც რამდენიმეჯერ მიბეგვეს იმისთვის, რომ უდროოთ ლოცვის ამბობდა სხვადასხვა შემთხვევების შესაფერ სიტყვებს მათი მნიშვნელობა კი ვერ გაეგო!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი არ აჰყვება ბოლშევიკების ფეხის ხმას: მანამდის, სანამ კავკასიის კომისარიატი ხალხისთვის საჭირო რეფორმებს ანხორციელებს, ხალხიც მას მხარს დაუჭერს.

ხალხმა იცის მტერ-მოყვარის დაფასება.

ადგილობრივი დროებითი მთავრობა ცდილობს ანარქიის მოსპობას და სრულ მოწესრიგებას. ის ეცდება დაუყოვნებლივ გადასჭრას გლეხების სასარგებლოთ მიწის საკითხი, შემოიღოს ერობა, მოსპოს წოდებრივი პრივილეგიები; ის ხელს შეუწყობს ზავის ჩამოგდებას. ის განაგრძობს მოქმედებას მანამდის, სანამ რუსეთში დამყარდებოდეს მთავრობა, ხალხის ნდობით აღჭურვილი. თუ ეს არ მოხდა, თუ რაიმე მიზეზის გამო რუსეთში დამფუძნებელი კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში ადგილობრივ შეიკრიბებიან ჩვენი ახლად არჩეული დეპუტატები და შექმნიან ახალ მთავრობას, ასე რომ კავკასიის კომისარიატის მოქმედებას დროებითი ხასიათი აქვს.

ახლა ვკითხოთ, ვინ იქნება, თუ არა კონტრ-რევოლიუციონერი, რომ ასეთ მმართველობის წინააღმდეგ სამოქმედოთ ხალხს მოუწოდოს?

და როცა ბოლშევიკები მოუწოდებენ ხალხს ამ მთავრობის წინააღმდეგ, არის თუ არა მათი მოწოდება აშკარა კონტრ-რევოლიუციონური? კონტრ-რევოლიუციონერები არიან თუ არა „ბრძოლის" და „კავკაზსკი რაბოჩი"-ს უპასუხისმგებლო კალმოსნები?

საქმემან თქვენმან გამოგაჩინოს თქვენ!

ყველა საარჩევნო კომისიებს და პარტიულ ამხანაგებს

არჩევნები დასავლეთ კავკასიაში უკვე დასრულდა. მალე დასრულდება აღმოსავლეთ კავკასიაში და ჩვენ საშუალება გვექნება ერთნაირი ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ როგორი სულიერი განწყობილება არსებობს როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

ჩვენში დღიურ წესრიგში დასმული მრავალი საჭირბოროტო საკითხები: ერობის შემოღება, მემამულეების ეკლესია მონასტრების და სახელმწიფო მიწების უფასოთ ჩამორთმევა და გლეხებზე გადაცემა, წოდებათა გაუქმება და სხვ.

ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ საერთოდ როგორ უყურებს ხალხი ამ საკითხების გადაჭრას. თუ მაგალითად რომელიმე კუთხეში ხმის უმრავლესი ნაწილი ჩვენებურმა ნაციონალ დემოკრატებმა ან კადეტებმა მიიღეს, ცხადია, იქ არ სდომებით მიწები, არ სდომებით წოდებათა გათანასწორება და სხვ.

ჩვენთვის საკმაო არ არის ვიცოდეთ არჩევნების შედეგები ერთს ან რამდენიმე კუთხეში. ჩვენ გვეჭირვის ცნობები ყველა კუთხიდან, რომ ეს ცნობები ერთმანეთს დაუპირდაპიროთ და ამ დაპირდაპირების შემწეობით შევადგინოთ ერთი ცხრილი, ვიქონიოთ ერთგვარი სწორი შეხედულება არჩევნებზე.

ამიტომ მოგიწოდებთ და გთხოვთ ყველა საარჩევნო ორგანიზაციებს და კერძო ამხანაგებს დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო.

პრესა

„კავკაზსკი რაბოჩი"-ს მესტვირეებმა ისევ მოიმართეს სტვირი. და მოჰყვენ გინებას და ტყუილების ჩმახვას. აი რას სწერენ ესენი 17 ნოემბრის მეთაურში (იხ. „Кавк. Раб." № 202).

„ამიერ-კავკასიის მთავრობა შექმნა არა დემოკრატიამ, არამედ რაღაც სასაცილო თათბირმა".

ვინ შექმნა ამიერ-კავკასიის მთავრობა? ვისაც ყურები აქვს სმენად იმას ეცოდინება, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა შექმნა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ცენტრებმა. ცხადია, ვის ესვრიან ბოლშევიკები თავის დაჩლუნგებულ ისრებს. ისინი ილაშქრებენ ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამის შემდეგ მოდი და ნუ გაგიკვირდება, როცა ეს უშიშარი (და უტიფარი) რაინდები ვითომდა საბჭოებისთვის სდებენ თავს!

ვიცით, ამას თითქოს მაგრათ შემოგვეკურთხებენ ბოლშევიკები, გვეტყვიან: ჩვენ საბჭოების მთავრობას მოვითხოვთო.

ეს მართალია. ბოლშევიკები მოითხოვენ მთავრობის შედგენას პეტროგრადის ტიპის მიხედვით. მაგრამ განა, რაც პეტროგრადში მოახდინეს ბოლშევიკების ამყოლმა საბჭოებმა, ის ჩვენთვის სავალდებულოა?

თუ როგორ უყვართ ჩვენს ბოლშევიკებს თუთიყუშებივით სხვისა ნათქვამის განმეორება, ეს ჩანს იმავე მეთაურიდან „კავკაზსკი რაბოჩი"-ს. აი რას ავალებენ ისინი ამიერ კავკასიის ახალ მთავრობას, რომელიც პეტროგრადის მთავრობის ყაიდაზე უნდა შედგეს: უნდა სახლის ქირისაგან განთავისუფლდენ იმ ჯარისკაცთა ოჯახები, რომლებიც ოთხას მანეთზე ნაკლებს იღებენ და პურის ფასი უნდა შემცირდეს ძველებურ ნორმამდე.

ამ უპასუხისმგებლო დემაგოგებს რომ დაწერილის გაგება შეეძლოთ, როგორ დასწერდნენ ასეთს შეუსაბამობას. ნუ თუ მათ არ იციან, რომ ცხოვრება საზოგადოთ გაძვირდა. და მანეთის კურსი დაეცა. როგორ, რა საშუალებით შეიძლება დეკრეტით პურის გაიაფება, როცა თვით ის გლეხები, რომლების მთავრობათ ბოლშევიკები თვლიან თავს, ამ გაიაფების წინააღმდეგ წავლენ. იქნებ ბოლშევიკები ფიქრობენ გლეხებიც ტერორით შეაშინონ?

⁂

ვერც გაზეთი „ბრძოლა" გასცილდა თავის რუსულ ძმის დემაგოგიურ ფანდებს. „ორნი არიან, ტოლნი არიან". „ბრძოლაც", ისევე უკბილოთ და უსაბუთოთ ასწორებს მიწასთან ამიერ-კავკასიის ახალ კომისარიატს. საბუთი? იგივე საბუთი აქვს, რაც „კავკაზსკი რაბოჩი"-ს—რატომ განა თუ არა იმ გზით არ დადიხარ, რა გზითაც პეტროგრადის ბოლშევიკები დადიანო!

„ბრძოლის" მეპრესე ცდილობს მშრალათ ამოძვრეს იმ წუმპიდან, რომელშიც იმისი ამხანაგები ჩაცვივდნენ ჩვენთან კამათის დროს. ბოლშევიკებმა უდიერათ მოიხსენიეს ჩვენი სადეპუტატო კანდიდატები—ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი და სხვ. ჩვენ აღვნიშნეთ ეს ურიგობა და რაკი სიტყვამ მოიტანა აღვნიშნეთ ბოლშევიკ კანდიდატების შესახებ ხალხში გავრცელებული ცუდი ხმები.

ბოლშევიკებს რომ სიმართლე ქონდესთ, გააბათილებდნენ ჩვენ მიერ მათის კანდიდატების შესახებ მოყვანილ ცნობებს. მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან. ისინი არც ახლა ღალატობენ თავიანთ ნაცად ხერხს; ლანძღვა გინებას და სადაო საგნის ბანზე აგდებას. ისინი სწერენ:

„ერთობას ვერ გაუგია, რომ ჩვენი ბრალდება მენშევიკური კანდიდატების შესახებ პოლიტიკურ-ისტორიული ხასიათისაა და არაფერი საერთო არ აქვს ვინმეს პირადობასთან".

ტყუილათ იკატუნებთ თავს, ბატონებო, ვითომ ჩვენს დეპუტატებს პირადათ არ შეხებოდეთ. თქვენ სწორედ პირადათ ამოიღეთ ისინი მიზანში, თორემ თუ თქვენ პოლიტიკურ ისტორიულ ხასიათს აძლევდით თქვენს შენიშვნას, შეგეძლოთ ჩვენს პარტიაზე გეწერათ! აი ჩვენ პირდაპირ ვთქვით ზოგიერთი რამ საპირადო თქვენი დეპუტატების შესახებ.

რატომ არ დაარღვიეთ ჩვენი ნათქვამი? ცხადია, თქვენ ვერ შესძელით ჩვენი საბუთების დარღვევა და ბრაზმორეული იძახით: პროვოკაცია—ცილისწამება — ინსინუაციების შესახებ.

გვითხარით, როდის აღებთ ხელს ცარიელ სიტყვების რახა რუხზე. სიტყვები ქრება, ფაქტი კი რჩება!

ზავის საკითხი

ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებულია კავკასიის კომისარიატის დეკლარაცია. ჩამოთვლილია ყველა ის რეფორმები, რომელიც უნდა გატარდეს ცხოვრებაში ახალმა მთავრობამ. ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას დეკლარაციის იმ ადგილს, რომელიც ეხება ომის და ზავის საკითხს. „კომისარიატი მიიღებს ყოველ ენერგიულ ზომებს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებისთვის, შეუფარდებს-რა თავის ნაბიჯებს ამ მხრივ დასავლეთ ფრონტის მდგომარეობას". აქ, ჩვენდა სასიხარულოდ, აღარ იმეორებენ რუსეთის კოალიციონურ მთავრობის სიტყვებს იმის შესახებ, რომ რუსეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ თავისი ნაბიჯები ზავის საკითხში უნდა შეუფარდოს მოკავშირეთა ნაბიჯებს. ამის მაგიერ კავკასიის დროებითი მთავრობა თავის ნაბიჯებს შეუფარდებს დასავლეთის ფრონტის ნაბიჯებს. ასეთი განცხადება მეტად საყურადღებოა და მოითხოვს გაბედულ ნაბიჯებს. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ კომისარიატი ასეთ გაბედულ პოლიტიკურ ნაბიჯს გადასდგამს. ამ მხრივ მას მხარს დაუჭერს მთელი კავკასიის დემოკრატია, რომელიც მოუთმენლად მოელის დროებით ზავის ჩამოგდებას. აქ არაფერი სეპარატიული ნაბიჯი არ იქნება.

მაშ შეუფარდოთ ჩვენი ნაბიჯები დასავლეთ ფრონტის რუსეთის ჯარის ნაბიჯებს, ვიმოქმედოთ გაბედულად.

ბ. თევზაია.

პეტროგრადის ამბები

ამიერ კავკასიის საარმიო ცენტრს. გენერალ დუხონინის და შჩერბაჩოვის ლაპარაკი პირდაპირ მავთულით.

13 ნოემბერს რუმინიის ფრონტის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალმა შჩერბაჩოვმა გენ. დუხონინს სხვათა შორის შემდეგი შეატყობინა: ყველას სწყურია ზავი, მაგრამ უნდათ, რომ მოლაპარაკება კანონიერი მთავრობამ გამართოს. ასეთად ლენინს და კომპ. არავინ არ სთვლის. დივიზიის უნდოდა თვითონ ეკისრა ეს საქმე, მაგრამ მათმა გამოსვლამ ამაოთ ჩაიარა.

ფრონტის რევოლიუციონური კომიტეტები და კორპუსების უმრავლესობა წინააღმდეგია ზავის წინადადებით ცალკე ნაწილების გამოსვლის.

რუმინელები მტკიცეთ შეასრულებენ კავშირის ხელშეკრულებას, მხოლოდ ამ მხრით ჩვენი ეშინიათ.

კერძო პირები და ნემეცთა აგენტები პროვოკატორულ მიზნით ცდილობენ უთანხმოება ჩამოაგდონ ჩვენსა და რუმინელების შორის.

ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები თანაგრძნობით ეპყრობიან ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას და ეშინიათ, რომ ლენინის გამოსვლით ფრონტი დაიშლება. იგინი სასტიკათ უარყოფენ როგორც ლენინს, ისე მის მიერ დანიშნულ წარმომადგენლებს. თავის მხრით გენერალმა დუხონინმა აცნობა გენ. შჩერბაჩოვს, რომ კრილენკოს სიტყვა მან გადასცა პეტროგრადში და აცნობა, რომ ასეთი პროპაგანდის გაწევა ბოროტებაა და საჭიროა მის წინააღმდეგ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები.

მე ვფიქრობ—განაგრძო გენ. დუხონინმა—ნემეცები მოლაპარაკებას არ დაიწყებენ პრაპორშჩიკ კრილენკოსთან და არ სცნობენ მას მთავარ-სარდლათ. მთავარი ბანაკი ჩემ 9 ნოემბრის დეპეშაში გამოთქმულ აზრს ადგას. ვიბრძოლებ ძალით მთავრობის შედგენის წინააღმდეგ.

ზავი.

გუშინ მთავარ ბანაკში მიიღეს კრილენკოს დეპეშა: დღეს გავგზავნე პარლამენტიორები და წინადადება მივეცი დაიწყონ მოლაპარაკება ყველა ფრონტზე, უკეთუ ნემეცები დაგვეთანხმებიან, ბრძოლა შეჩერდება, რომ ერთხელ კიდევ წინადადება მივსცეთ მოკავშირეებს დროებით ზავის წინადადებას შეუერთდნენ. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ყველა ორგანიზაციები მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ ზავის საქმეს. არმიის კომიტეტებმა ჯარში მთელი ძალა-უფლება ხელში უნდა აიღონ. იმათ უფლებას ვაძლევ, თუ საჭიროა დაიჭირონ, გადააყენონ ჯარის ხელმძღვანელნი. დუხონინის ყველა განკარგულება არც გადასცეთ და არც აასრულოთ. ჯარის სურსათის მიწოდების საქმე ერთი წუთით არ უნდა შესწყდეს. ვსთხოვ მოგილევის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპ. საბჭოს და გლეხთა დეპ. საგუბერნიო საბჭოს მიიღონ ყოველივე ზომები დუხონინის თანამდებობიდან გადასაყენებლათ. ძალდაუტანებლათ საქმის ჩაბარებას დროებით ვავალებ გენერალ დიტერიხს. ყველა ჯარების და ფრონტის უფროსებმა უნდა იცოდნენ, რომ მე არავის ნებას არ მივსცემ წინააღმდეგობის გაწევის.

ამის საპასუხოთ სტანკევიჩმა განაცხადა: თქვენ დაიწყეთ პირადათ ზავზე მოლაპარაკება და გვაუწყებთ, რომ ჯარი თქვენს ძალაუფლებას არ სცნობს. ამიტომ მთავარი ბანაკი თქვენგან არავითარ განკარგულებას არ მიიღებს. რუსეთისთვის ზავი საჭიროა და ამის შესახებ მოლაპარაკება ჩქარა უნდა დაიწყოს, მაგრამ თქვენი დემაგოგია და ფრონტის თქვენ მიერ გახრწნა, შეძლებას არ გვაძლევს წამოვაყენოთ ზავის საკითხი, და მთელი ხალხის სახელით გავმართოთ მოლაპარაკება. ამიტომ ზავის საკითხის დაშორება თქვენი ბრალია და თქვენ და თქვენი პოლიტიკური მეგობრები აგებთ პასუხს.

გთხოვთ გამაგებინოთ—ანთავისუფლებთ თუ არა ამ. იუდინს, გოცინსკის და შემაეს. კრილენკო უპასუხებს: სანამ ჩემს ხელში არის ძალა უფლება, ვინც წინააღმდეგება, დაპატიმრდება. მე განკარგულება მოვახდინე და სხვა არაფერი მაქვს სათქმელი. თქვენი დარიგება ჩემთვის საჭირო არ არის.

ახალი ამბები

ქართული ეროვნული ყრილობა. დღეს თფილისში გაიხსნება პირველი ქართული ეროვნული ყრილობა.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა უნივერსიტეტი.** მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება ამ დღეებში თფილისში ხსნის სახალხო უნივერსიტეტს. წაიკითხავენ ლექციებს მეცნიერულ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. ჯერჯერობით განზრახულია ლექციების კითხვა ორ ფაკულტეტზე: საბუნების მეტყველო—ისტორიულზე და საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულზე. ლექციებს წაიკითხავენ მეტათ მდაბიურ ენით. ასე რომ, მისი მსმენელ-გაგება შესაძლებელი იქნება ყველასათვის. ლექციები წაიკითხება საღამოობით 6—10 საათამდე. მსმენელთ შეუძლიათ ჩაეწერონ სასახლეში აღმას. კომიტეტის კულტურულ კომისიის თავმჯდომარე ამხ. რუბრუხთან ან მდივან გიკასთან ყოველ დღე კვირა დღეების გარდა საღამოს 5—7 საათამდე. უნივერსიტეტის გახსნის დღე და ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

◆ **ეროვნულ ყრილობის გარშემო.** ინტერპარტიულ საბჭოს დადგენილებით უკანასკნელათ ქართულ ეროვნულ ყრილობაზე დასასწრებლათ წარმომადგენლების გამოგზავნის ნება მიეცათ აგრეთვე მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელ კომიტეტებს ორ-ორი, საადგილ-მამულო კომისიას 1 ადგილი; კავკასიის ფერმწერთა საზოგადოების გამგეობას—1, სამხედრო სექციას (კიდევ 1 ადგილი); საბოლოოთ შემუშავებული, ყრილობის დღის წესრიგი ასეთია: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი (მოხსენება ნოე ჟორდანიასი), 2) თავად-აზნაურობის კოლექტიური ქონების ჩაბარება და მოვლა-პატრონობა (მოხსენება კ. ნ. აფხაზისა), 3) მიმდინარე საკითხები, 4) ორგანოს არჩევა. უცხოელთაგანი, რომელსაც ეროვნულ ყრილობაზე სურს მილოცვის წარმოთქმა, უნდა წინდაწინვე ჩაეწეროს ინტერ-პარტიულ საბჭოს მდივანთან.

◆ **ქართული წარმოდგენები ველაბარში.** როგორც ველაბრის საზოგადოებას სიშორის გამო უძნელდება ქართველ მსახიობთა წარმოდგენებზე დასწრება ქართულ კლუბში, მსახიობთა ამხანაგობამ გადასწყვიტა კვირაში ერთი წარმოდგენა გამართოს ველაბრის თეატრში „პალასში". პირველ წარმოდგენას დასი გამართავს სამშაბათს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „სამშობლო". მონაწილეობს მთელი დასი. უმთავრეს როლებს ასრულებენ ქ-ნი აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, შ. ქლარჯიშვილი, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ. იმედია ველაბრის საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა მსახიობთა ასეთ განზრახვას და ხელს შეუწყობს მათ წესიერათ აწარმოონ წარმოდგენების საქმე ველაბარში.

◆ **ხალ. სახ.** დღეს, საღამოს, ველაბრის საზამთრო კლუბში გაიმართება იაფ. ფასიანი საღამო: 1 განყოფილებაში წაიკითხავენ ლექციას სოციალიზმზე ამხ. შ. აზატიანი რუსულ ენაზე და ამხ. ვ. ჯუღელი ქართულ ენაზე. მე-2 განყოფილებაში მუშათა გუნდი იმღერებს რევოლიუციონურ და სხვა სიმღერებს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქ. თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია მომრიგებელ კამერის წევრთა საერთო კრება.

— დღეს, დილის 11 ს., ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის კანცელარიის შენობაში (პეტრე დიდის ქ.) გაიხსნება კავკასიის სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა.

— დღეს, საღამოს, [illegible] ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში) [illegible] წაიკითხავს მოხსენებას ისტორიულ მატერიალიზმზე. დასწრება შეუძლიათ არა-წევრებსაც.

— დღეს, საღამოს 7 ს., მეორე ლაზარეთში (გოლოვინის პროსპ.) დანიშნულია შეერთებული კრება მე 4 და მე 6 რაიონში მცხოვრებ ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება, დღის წესრიგი 1) სრულიად რუსეთის სიეზდზე დელეგატების არჩევა, დირექტივების გამომუშავება დამფუძნებელ კრებაზი სოც. დემ. ფრაქციისთვის.

— დღეს, საღამოს 6 ს., თფილისის „კრუჟოკი" საზაფხულო შენობაში (კირიჩნი ქ.) დანიშნულია კრება მეორე რაიონის წევრებისა, დღის წესრიგი მოხსენება კოლექტივის მოქმედების შესახებ; 2) პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები და სხვ.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

თუხარმიშა (ცარსკიე კოლოდცი, თიანეთის მაზრა). ქვედა და ზედა ქედის სოფლებში მენშევიკებმა მიიღეს 889 ხმა. სხვა პარტიებს არავითარი ხმა არ მიუღიათ.

ხონი. ქალაქში მენშევიკებმა მიიღეს 1,713 ხმა, ესერებმა—11, ბოლშევიკებმა—702, ს.-ფედერალისტებმა—534 და ერ.-დემ.—23 ხმა.

ფოთი. მენშევიკებმა მიიღეს—2,723 ხმა, კადეტებმა 44, ესერებმა—540, დაშნაკელებმა—68 ბოლშევიკებმა—97, სოც. ფედერალისტებმა—386, ეროვ. დემოკრატებმა—372 ხმა.

თფილისი. დაწვრილებით ცხრილს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. სწორი ცნობები საარჩევნო კომისიიდან გუშინაც არ იყო.

ამიერ-კავკასიის ერებს

ამიერ-კავკასიის ერები, რომლებმაც ას წელზე მეტია თავისი ბედი შეუკავშირეს რუსეთს და მიდიან მასთან ერთად ხელ-ხელ ჩაკიდებული, პირველად ამ ისტორიულ ხანაში აღმოჩნდნენ თავის თავზე მინდობილი და ისინი იძულებული არიან საკუთარი ძალღონით მიიღონ ზომები მოახლოვებულ ეკონომიურსა და საზოგადოებრივ კატასტროფის წინააღმდეგ.

შესძლებს თუ არა ამიერ-კავკასიის რევოლიუციონერი დემოკრატია დაიცვას ყოველგვარ თავდასხმისაგან რევოლიუციის მონაპოვარნი და უზრუნველ ჰყოს მხარისათვის რევოლიუციონურ წესრიგის [illegible] საფუძველი, ამასთანავე ცენტრალურ რუსეთზე გავლენის მოხდენით დემოკრატიის შორის სამოქალაქო ომის მოსასპობათ და ერთგვაროვან, რევოლიუციონურ, ყველას მიერ აღიარებულ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის შესაქმნელათ,—აი ამაზე არის დამოკიდებული ამიერ-კავკასიის ბედი და მისი ნორმალური განვითარება.

ამიერ კავკასიის ცხოვრების ამ გზით წასაყვანათ, ყველა სოციალისტურ პარტიებსა და დემოკრატიულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებით შესდგა ამიერ კავკასიის მთავრობა. ეს მთავრობა შემდგარია დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. თუ ამ უკანასკნელის მოწვევა დანიშნულ დროზე შეუძლებელი შეიქნა, რუსეთში შექმნილი გარემოებათა გამო, მაშინ მთავრობა თავის უფლებებს შეინარჩუნებს ამიერ კავკასიისა და კავკასიის ფრონტის მიერ დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ არჩეულ დეპუტატების ყრილობამდე.

და ამიტომ, როგორც დროებითი მთავრობა, იგი მიზნათ ისახავს მხოლოდ უაღრესათ საშურ საჭიროებათა მოწესრიგებას.

არეულ-დარეული ფინანსების მოწესრიგება, ჯარისა და მცხოვრებთა აუცილებელი შიმშილისაგან გადარჩენა, მათი სურსათით უზრუნველყოფა, ტრანსპორტისა და მიმოსვლის გაუმჯობესება, ჯარის დემობილიზაციის წესიერათ ჩატარება ზავის შეკვრის დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, წარმოებაზე და განაწილებაზე კონტროლის დაწესება, შრომის ინტერესებისა და მუშათა კლასის ყოველგვარი ზომით დაცვა. დაუყოვნებლივ დემოკრატიული ერობის შემოღება; სასამართლოსა და მართველობის ორგანოთა რეორგანიზაცია; დაუყოვნებლივ დემოკრატიული საადგილ-მამულო კომიტეტების მოწყობა იქ, სადაც ასეთები არ არის და მათ განკარგულებაში სამონასტრო, სახაზინო და საეკლესიო მიწების გადაცემა და აგრეთვე მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების გადაცემა. აქტი კერძო მიწების კონფისკაციის შესახებ ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული და აგრეთვე გამოქვეყნდება წესები საადგილ-მამულო დამოკიდებულებათა შესახებ და დამფუძნებელი კრებისთვის წარსადგენი საადგილ-მამულო კანონი; დაუყოვნებლივ გაუქმება ყოველგვარი უფლება-უპირატესობისა, წოდებრიობისა და აგრეთვე გაუქმება ისეთი დაწესებულებებისა, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული უპირატესობის მქონე წოდების ინტერესების დაცვა; კეთილ-მეზობლური დამოკიდებულების განმტკიცება იმ ერებთან, რომლებიც ჩვენთან ახლოს მოსახლეობენ, რევოლიუციონურ მონაპოვართა საფუძველზე.

აღიარებს რა ერების სრულებით თვით-გამორკვევის თვალთახედვის პრინციპს, რაიც რუსეთის რევოლიუციამ აღიარა, ამიერ კავკასიის კომისარიატი ნაბიჯს გადასდგამს, საქმით და სამართლიანათ გადაჭრილ იქნას ეროვნული საკითხი ამიერ კავკასიაში.

ვცნობს რა დაცულ იქნას საერთო რუსეთის ფრონტი, ამიერ კავკასიის კომისარიატი

მიიღებს ენერგიულ ზომებს ხაზის დაუყოვნებლივ ჩამოსაგდებათ. თავის მოქმედებას ამ ფრონტზე შეუფარდებს დასავლეთ ფრონტზე არსებულ საერთო მდგომარეობა მოქმედებას და ადგილობრივ პირობებს, კავკასიაში მოსახლე ერებთან შეთანხმებულათ.

ყველა ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრა საფუძვლად დაედება ახლად შექმნილი მთავრობის მოღვაწეობას. ყველა ჩამოთვლილი ზომების ცხოვრებაში საჩქაროთ გატარება შესაძლებელია მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით: უკეთუ ჯარი, მცხოვრებნი—მუშები, გლეხები და ჯარისკაცები აქტიურად მხარს დაუჭერენ ახალ შემდგარ ამიერ კავკასიის მთავრობას.

ყოველივე განკარგულებანი და ბრძანებანი ამიერ კავკასიის კომისარიატისა, შესრულებულ უნდა იქნან დაუყოვნებლივ. ყოველივე წინააღმდეგობა, რომელსაც გაუწევენ ამ ახალ მთავრობას, იქნება აშკარა შებღალვა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ინტერესებისა და ცდა, რომ ამიერ კავკასიის მცხოვრებნი ჩათრეულ იქნან სამოქალაქო და ნაციონალურ ომში. ასეთი განზრახვა, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის, ძირშივე იქნება აღმოფხვრილი იმ პარტიების და ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ეს მთავრობა შექმნეს.

იღებს რა თავის თავზე ასეთ ძნელ მოვალეობას, ამიერ კავკასიის კომისარიატი მიმართავს ყველა იმათ, ვისაც ძვირფასია რევოლიუცია და თავისუფლება, შემოკრბენ ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის გარშემო და მასთან ერთად მხარ და მხარ გასწიონ წინ შემოქმედებითი, რევოლიუციონური იმედებით.

ამიერ-კავკასიის ერებო!

თქვენი ბედი თქვენსავე ხელშია!

ვეცადოთ ღირსეულნი ვიქნეთ ამ დიადი მისიისა.

დავდგეთ ამ ისტორიული მიზნების სიმაღლეზე და დავანახვოთ მთელს ქვეყანას ცოცხალი მაგალითი ერთგულებისა დიდებული რევოლიუციისადმი.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

საიდუმლო დიპლომატია
და
საიდუმლო ხელშეკრულობანი

ბოლშევიკებმა უკვე გამოაქვეყნეს გაზეთში შემდეგი საიდუმლო ხელშეკრულობანი:

საიდუმლო დეპეშა პარიზში და ლონდონში რუსეთის წარმომადგენლებს. 17/30 სექტემბერს 1917 წელს.

მოკავშირე სახელმწიფოთა აქაურ ელჩებთან, უმეტესათ ამერიკის ელჩთან გულ-ახდილ ლაპარაკის შემდეგ ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ პარიზში ან ლონდონში მომხდარ უკანასკნელ კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება მოკავშირე სახელმწიფოებს შორის თუ ვინ რა გვარი მატერიალური დახმარება გაგვიწიონ, რომ შევსძლოთ ომის განგრძობა—მაგალითად, როგორც სჩანს, ამერიკელებმა ხელში აიღეს ჩვენში რკინის გზის ტრანსპორტის მოწესრიგების საქმე. ამ საკითხს ჩვენთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, დღევანდელ პირობებში ტეხნიკური და მატერიალური საკითხები ჩვენში ფრიად საშიშ სახეს ღებულობენ, რადგან არ ვიცით ფაქტიურათ მივიღებთ იმას ბოლომდე თუ ვერა. მე მზათ ვარ უფრო წინ წავიდე—წინადადება მივსცე ჩვენ მოკავშირეებს უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღონ, ვიდრე დღემდე, ჩვენი მრეწველობის და ტრანსპორტის საქმის მოწყობაში, რომ იგინი მართლაც მზათ იყვნენ იკისრონ ეს საქმე. გთხოვთ შეეცადოთ და ფრთხილათ გაიგოთ ამ მხრით საქმის მდგომარეობა და შემატყობინოთ თქვენი აზრი.

ტერეშჩენკო.

საიდუმლო დეპეშა ელჩებს პარიზში, ლონდონში, რომში, ვაშინგტონში, ტოკიოში და სტოკჰოლმში. 26 სექტემბერს 1917 წ.

ერთის მხრით დემოკრატიულ თათბირთან და მეორეს მხრით კადეტებთან და მრეწველებთან ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ შესდგა კოალიციური სამინისტრო, რომლის შემადგენლობა უკვე გეცნობათ თქვენ. ამ მოლაპარაკების დასახასიათებლათ აღსანიშნავია დემოკრატიის ლიდერების დიდი დათმობა, რომელიც აღიარებდა, რომ ასეთ დროს მთავრობის სოციალისტების ხელში გადასვლა მათთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა. ამ დათმობას ის მოყვა, რომ სოციალისტების ზომიერმა ლიდერებმა მასაში ნდობა დაჰკარგეს და ძლივს იჭერენ მას. ამის გამო დემოკრატიულ წრეებში განხეთქილება ხდება. ყველა პარტიების უფრო ზომიერი სახელმწიფოებრივი ელემენტები თავს იყრიან საყოველთაო ხმით არჩეულ საერობო და ქალაქის თვით მმართველობათა გარშემო. ამ მოძრაობაში კოოპერატივების მონაწილეობა უფრო მეტს მნიშვნელობას აძლევს მას, რადგან მათ მხარს უჭერენ გლეხები. მეორე მხრით ბოლშევიკების და ანარქისტების ორგანიზაციები თანდათან ხელში იღებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, რაც სავსებით მოხდა პეტროგრადში და ხდება ძალიან სხვა ქალაქებშიაც, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არ ემორჩილებიან მთავრობას და მას მტრობას უცხადებენ, მაგრამ სამაგიეროთ გავლენას ჰკარგავს მცხოვ. ფართე მასაში, დიდი მნიშვნელობა ექნება წინასწარ პარლამენტს, რომელიც დამფუძნებელ კრებამდე ხალხის წარმომადგენლობის მაგიერობას გასწევს. თუმცა იქ უმეტესი ნაწილი სოციალისტები იქნება, მაგრამ ზომიერი სოციალისტები ლიბერალურ პარტიების წარმომადგენლებთან ერთად შესძლებენ წინააღმდეგობა გაუწიონ ბოლშევიკებს. ამასთან ქვეყანა გაიგონებს ზომიერ ჯგუფების ხმას, რომელთა პატრიოტული გამოსვლა უმნიშვნელოთ არ დარჩება. რაც შეეხება მთავრობის პროგრამას, ის სამი უმთავრესი მუხლისგან შესდგება: გააძლიერონ ჯარი, დაიცვან ქვეყანაში ელემენტარული წესიერება და ებრძოლონ ეკონომიურ არევ-დარევას. გუშინ დაიწყო რკინის გზის საყოველთაო გაფიცვა. მათ წინააღმდეგ მიიღეს ზომები, ზოგან აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს და ზოგან რეპრესიულ ზომებს ღებულობენ. სადგურთა გაფიცვამ ფართო ხასიათი მიიღო, რადგან მას თანაგრძნობით არ ეკიდებიან. ფრონტზე ის არ ვრცელდება.

ტერეშჩენკო.

(შემდეგი იქნება).

რ. ს.-დ. მუშ. პარ. (მენშევიკების) ცენტრ. კომიტეტისაგან

ყველა პარტიულ ორგანიზაციებისადმი.

პატივცემულო ამხანაგებო!

ჯერ კიდევ ბოლშევიკების მიერ მთავრობის ხელში ჩაგდებამდე ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოეწვია ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში პარტიის ყრილობა. ასეთ გადაწყვეტილებას გვიკარნახებდა როგორც დამფუძნებელ კრებაზე პარტიის პოლიტიკის განსაზღვრა და შეცვლილ პოლიტიკურ გარემოებათა გამო მთავრობის შედგენის საკითხის გადასინჯვა, ისე თვით პარტიაში საქმის მდგომარეობა: ისეთი ფაქტები, როგორიც არის ცალკე ფრაქციების არსებობა თავის ფრაქციული დისციპლინით, თავის პოლიტიკით, რომელიც ანგარიშს არ უწევს მთელი პარტიის პოლიტიკას; როგორიც არის დამფუძნებელ კრების არჩევნებში ცალკე ფრაქციული სიების წამოყენება პარტიულ ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ სიების წინააღმდეგ,—ყოველივე ეს იმას მოწმობდა, რომ პარტიის გაერთიანების საქმე არ იყო მაინცა და მაინც კარგ მდგომარეობაში. პარტიის ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ ორგანოებს არ შეეძლოთ საქმის ასეთი მდგომარეობის გამო ყოფილიყვნენ პარტიის წარმომადგენელი და დაეცვათ მისი ინტერესები, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. ფრაქციული ბრძოლა და დანაწილება ძალზე აუძლურებდა პარტიას, ამცირებდენ მის პრესტიჟს და ძირს უთხრიდენ გარეშეებზე მის გავლენას. საჭირო იყო ცენტრალური კომიტეტის აზრით ერთხელ და სამუდამოთ განესაზღვრათ, რა არის დასაშვები პარტიული დისციპლინის თვალსაზრისით როგორი მოქმედებანი თავსდება ერთ ორგანიზაციის ფარგლებში და როგორი არა. ამის შესრულება შეეძლო მხოლოდ პარტიის უზენაეს ორგანოს, მის ყრილობას.

უკანასკნელ დღეების ამბებმა არამც თუ გააქარწყლეს ყრილობის მოწვევის საჭიროება, პირიქით, უფრო აუცილებლათ გახადეს მისი მოწვევა. პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. რა გზითაც არ უნდა მოხდეს ბოლშევიკების ავანტიურის ლიკვიდაცია, რევოლიუციის საქმისათვის მეტი თუ ნაკლები ზარალით, ჩვენი პარტიისთვის მაინც საჭიროა შეიმუშაოს ტაქტიკა ახლო მომავლისთვის, გასცეს თავისი პასუხი მთავრობის შედგენის საკითხს და სხ. მეორეს მხრით, ავანტიურის ლიკვიდაციის გამო თვით ცენტრალურ კომიტეტმა განიცადა მძიმე კრიზისი, რომელიც სერიოზული შედეგებით ემუქრება პარტიას: კომიტეტიდან გამოვიდა 11 წევრი რომლებიც დღემდის შედიოდენ მის უმრავლესობის შემადგენლობაში და ზოგიერთი მათგანი საპასუხისმგებლო მუშაობასაც აწარმოებდა ცენტრალურ კომიტეტში.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს რა, თუ რა ძნელია ასეთ არეულ და გამოურკვეველ მდგომარეობის დროს ყრილობის მოწვევა, თავის ერთ უკანასკნელ კრებაზე მაინც დაადასტურა თავის წინანდელი გადაწყვეტილება და ამით გატყობინებს თქვენ, რომ პარტიის საწრაფო ყრილობა დანიშნულია 27 ნოემბერს. ცენტრალურ კომიტეტს შეუძლებლათ მიაჩნია პარტიულ ორგანიზაციათა სრული წარმომადგენლობა არ იყოს ყრილობაზე, მაგრამ ამას ის ნაკლებ ბოროტებათ სთვლის, ვიდრე ახლო მომავალში ყრილობის მოწვევაზე უარის თქმას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოემბრის ბოლოს პარტიულ ყრილობის მოწვევას მოითხოვდა მოსკოვის ჩვენი ორგანიზაცია და სხვ.

უკეთუ დამფუძნებელ კრების მოწვევა გადადო ცენტრალური კომიტეტიც ამის მიხედვით გადასდებს ყრილობას და თავის დროზე გაცნობებთ თქვენ.

ყრილობის დღიური წესრიგი შემდეგია: 1) პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის მიზანი; 2) პარტიის ტაქტიკა დამფუძნებელ კრებაში; 3) საქმის მდგომარეობა პარტიაში; 4) ცენტრალურ კომიტეტის ანგარიში.

ორგანიზაციების წარმომადგენლობა ასეა განაწილებული: პარტიის 1,500 წევრზე ერთი დელეგატი. სახეში მიღებულია ის გარემოება, რომ არჩევნების გამო შესდგა საგუბერნიო ორგანიზაციები, და ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ აირჩიონ დელეგატები და არა ყველა წვრილმა ორგანიზაციამ ცალკე. რასაკვირველია ძალაში რჩება წესი უმცირესობის წარმომადგენლობის შესახებ, რამდენათაც ორგანიზაციას უფლება აქვს ორი ან მეტი დელეგატის არჩევის. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საგუბერნიო კომიტეტებს, სადაც ეს შესაძლებელია, ამ უწყების მიღებისთანავე მიმართონ თავიანთ მაზრებში ორგანიზაციებს და მოაწყონ დელეგატების არჩევნები.

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პარტიულ ორგანიზაციების უმრავლესობა სწორეთ სცნობს იმ მოსაზრებას, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა ყრილობის მოწვევის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს.

ცენტრალური კომიტეტი.

ხონელი ბოლშევიკები

„ბრძოლის" მე 37 ნომერში მოთავსებულია დეპეშა ხონიდან, რომლითაც ხონელი ბოლშევიკები ბოლშევიკურ ქვეყანას აუწყებენ, რომ „ერთობაში" მოთავსებული დეპეშა, რომელიც იუწყებოდა, რომ ხონში ბოლშევიკებმა ტერორი გაამეფესო, პროვოკაციაა და მენშევიკების გამოსვლა კონტრ-რევოლიუციონერობა არისო.

როგორც სჩანს ხონელ ბოლშევიკებს სრულიად დავიწყებიათ ლიტერატურული ეთიკა და რიგიანობა. ხონის არჩევნებმა ნათლათ დაამტკიცა, რომ მასსა მენშევიკებს მიყვება ხონში და არა ბოლშევიკებს, პირველებმა მიიღეს 1713 ხმა, მეორეებმა კი 702 და ისიც მათმა სინდისმა იცის, რა გზით. ჯერ იყო და მიტინგზე ათასნაირი ხრიკებით შეეცადნენ არ მიეცათ ლაპარაკის საშუალება მენშევიკ ა. ხარაბაძისათვის და ფედერალისტების ლიდერის კურთხევით ჩაშალეს მიტინგი. მას შემდეგ გული იძიეს მენშევიკების ლანძღვა-გინებით. არჩევნების დღეს შემდეგ კი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდენ. ერთი „სახელოვანი" ბოლშევიკი წამდაუწუმ გაიძახოდა: „Я его арестую, я его этапомъ отправлю въ Кутаисъ" ეს „его", რა თქმა უნდა, ამა თუ იმ მენშევიკს შეეხებოდა. ამ ვაჟბატონმა კარგად იცოდა, რომ იგი ვერავის ვერ დაიჭერდა, მაგრამ ამას ჩადიოდა იმ მოსაზრებით, რომ ხალხი დაეშინებინა. მეორე ასეთი „სახელოვანი ბოლშევიკი" დეზერტირებს უუბნებოდა: „მენშევიკებმა თქვენ დახვრეტა გადაგიწყვიტეს". ს. მათხოჯში კი, როგორც ერთი ამხანაგი გადმოგვცემს, დეზერტირები მოკვლით ემუქრებოდენ იმათ, ვინც გაბედავდა და ბოლშევიკების სიას არ მისცემდა ხმას.

ყველა ეს კარგათ იციან ხონელმა ბოლშევიკებმა და სწორეთ ამით აიხსნება მათი სიბრაზე და პროვოკატორებათ და კონტრ-რევოლიუციონერებათ მენშევიკების მონათვლა.

ასეთებს ხონელი ბოლშევიკები მენშევიკებში ვერ მონახავენ; უკეთესია სხვაგან მოძებნონ.

ლანძღვა-გინებით ფონს გასვლა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ხონელ ბოლშევიკებს წარმოუდგენიათ. ამით ისინი თავიანთ თავს უფრო შეურაცხყოფენ, ვინემ მენშევიკებს.

კი—კი.

ქალაქის საბჭოში

(16 ნოემბრის სხდომა).

თავმჯდომარეობს **დ. მერხალევი.** კრების გახსნისას თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმოსნებმა: ათაბეგოვმა და ენფიაჯიანმა მე-7-ე სიიდან და ნერუჩევმა მე 3-დან თავი გაანებეს ხმოსნობას და მათი ადგილი დაიჭირეს კანდიდატებმა: აფრიკიანმა, ხანანიანმა (7) და მუშეგიანმა (3). შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ქართულ ინტერპარტიულ საბჭოს განცხადებას, რომლის თანახმადაც საბჭომ უნდა აირჩიოს 5 წარმომადგენელი ქართველთა ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც შესდგება 19 ნოემბერს. საბჭო იღებს ამ განცხადებას და არჩევნებს სდებს კრების ბოლოსთვის. სანამ დღის წესრიგის გარჩევას შეუდგებოდენ კრებამ მოისმინა ნ. ელიავას რამდენიმე განცხადება. ქალაქის თავი აღნიშნავს, რომ ხმოსნების მოსაწვევად მიღებული წესრიგი (უწყებების გზავნა), გარდა იმისა, რომ რთული ზომაა, რის გამოთაც ხმოსნები თავის დროზე ვერ ღებულობენ უწყებებს, იწვევს დიდ ხარჯებს და რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საბჭო დააწესებდა ერთ რომელიმე გაზეთს, სადაც სისტემატიურად მოთავსდებოდა განცხადება საბჭოს სხდომის შესახებ და სათანადო დღის წესრიგი. ასეთ გაზეთად მას მიაჩნია „მ. და ჯ.-კ. დეპ. უწყებები", როგორც უფრო გავრცელებული ორგანო. „უწყებები"-ს ხსენება შიშს იწვევს კადეტებში. კად. ვესელოვზოროვი აცხადებს, რომ მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭ. ჯერ არ არის მთავრობის ძალით აღჭურვილი; მაშასადამე, „უწყებები" არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ ორგანოთ, ამიტომ ვერც ვერავინ დაგვატანს ჩვენ ძალას იგი გამოვიწეროთ და სისტემატიურათ ვიკითხოთ. რამდენიმე ორატორი უფანტავს კადეტებს ყოველ შიშს. ბოლოს ამხ. გ. მახარაძის წინადადებით საკითხი გადაცემულ იქნა უფროსთა საბჭოში განსახილველად.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკვე შედგა ახ. მთავრობა და აცნობს საბჭოს, მის შემადგენლობას. ნ. ელიავა აღნიშნავს მოკლეთ იმ პირობებს, თუ რამ გამოიწვია კომისარიატის შექმნის საჭიროება და მოუწოდებს საბჭოს მიესალმოს ამ ავტორიტეტულ ორგანოს და უსურვოს მას ნაყოფიერი მუშაობა. კრება ტაშისცემით ხვდება ამ განცხადებას. უკიდურეს მარცხნიდან და მარჯვნიდან—ბოლშევიკ-კადეტებმა პროტესტი განაცხადეს. სიტყვას იღებს ფ. მახარაძე (ბოლშევ.). თავმჯდომარის დასკვნა უსაფუძვლოა: მან კარგათ იცის ბოლშევიკების დამოკიდებულება ამ მთავრობასთან. ეს მთავრობა შეიქნა თავის ნებით, სეპარატიულათ. ამიტომ ის არავისთვის სავალდებულო არ არის (ხმოსნებში ხმაურობაა). არავინ იცის მისი კომპეტენციები... თუ ის პასუხისმგებელი იქნება „კრაევოი ცენტრის" წინაშე... (ნ. რამიშვილი ადგილიდან: „დიახ!" თავმჯდომარე განმარტავს, რომ მთავრობა პასუხისმგებელი იქნება არა მარტო „კრაევოი ცენტრის" წინაშე, არამედ აგრ. მთავარ დემოკრატიულ ორგანოების წინაშეც). მთავრობას ქმნიან ანარქიასთან საბრძოლველათ, მაგრამ იგი გააძლიერებს ანარქიას, ვინაიდან იგი შესდგა რუსეთის დემოკრატიის დაუკითხავათ, მისგან დამოუკიდებლათ. ასეთი სეპარატიული ნაბიჯი რუსეთის დემოკრატიის დაღალატია, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ენერგიულათ გამოდის ანარქიასთან საბრძოლველათ... ეს ნაბიჯი არის კალედინთან დამეგობრების ნაბიჯი, რომელიც ებრძვის რუსეთის ცენტრალურ მთავრობის შექმნას. აქ კალედინის სურვილები ხორციელდება. ამიტომ ბოლშევიკები არ ვიცნობთ მას მთავრობათ. კ.-დ. სემიონოვიც წინააღმდეგია ერთსულოვანი სალამით შეხვდენ ახ. მთავრობის შექმნას. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა მის შექმნაში და, თუმცა არც მივესალმებით და არც ხელს შევუშლით მის მოქმედებას, მაგრამ,—ამბობს ორატორი,—უნდა აღვნიშნოთ, რომ მის შექმნას საფუძვლათ არ უდევს გარკვეული პრინციპი.

ნ. რამიშვილი. ბოლშევიკების გამოსვლამ გამოიწვია სამოქალაქო ომი. მახარაძე სეპარაციაზე გველაპარაკება, მაგრამ სწორეთ მათმა გამოსვლამ გვაიძულა დროებით რუსეთის დემოკრატიის დამოუკიდებლათ გვემოქმედნა, რათა თავი გვეხსნა ანარქიისაგან. ახ. მთავრობა საკმაო ავტორიტეტულია, ვინაიდან მის შექმნას მხარი დაუჭირა ყველა სერიოზულ საზოგადო დაწესებულებებმა (ფ მახარაძე ადგილიდან: „ეს რეპრესიაა"), რეპრესიაზე თუ ლაპარაკობთ, ლენინი გაიხსენეთ... პრინციპზე მიგვითითებენ. ჩვენ ავწონეთ ადგილობრივი პირობები და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ შეიძლება მხოლოდ ერთი პრინციპი: კოორდინაცია ყველა ნაციონალურ და პარტიულ ორგანიზაციებისა—ჩვენ თვალ ყურს ვადევნებთ მთავრობის მოქმედებას და, იქნება თუ არა იგი თავის მოწოდების სიმაღლეზე,—ამას მომავალში ვნახავთ.

კამათის დასრულების შემდეგ ფ. მახარაძეს შემოაქვს წინადადება, რომ აირჩეს მისალმება, სანამ მთავრობის დეკლარაცია არ მოგვისმენია. ხმების დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა გამგეობის წინადადება—საბჭო სალამს უძღვნის კომისარიატს და მერხალევის დამატებით, მოუწოდონ ყველა ამიერ კავკასიის ქალაქ. თვითმართველობებს, გამოიტანონ ასეთივე რეზოლიუციები.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საბჭომ უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ბოლშევიკების მიერ მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის გარეკვის გამო. მოკლე მოხსენებას აკეთებს ხმოს. **ხუდადოვი** (ს. რ.) დღევანდელი ამბები მოგვაგონებს მეფობის დროის ტრეპოვის ამბებს. მაშინდელ ჟანდარმების როლს დღევანდელი ახალ „მთავრობის" წითელ გვარდიელები თამაშობენ. მოსკოვის თვითმართველობის გარეკვა,—ეს ლახვარის ჩაცემაა რევოლიუციის მიერ მოპოებულ უფლებებისთვის; ეს თავდასხმაა რუსეთის რევოლიუციაზე. ბოლშევიკებმა ამით უარყვეს არა მარტო რევოლიუციის მონაპოვარი, არამედ—უბრალო დემოკრატიზმიც და იმ ხალხს, რომელმაც ასე უდიერათ გათელა მოსკოვის მცხოვრებთა საყოველთაო საარჩევნო უფლება, კიდევ ყოფნის გამბედაობა დემოკრატები უწოდონ თავიანთ თავს... ჩვენ, შეიძლება, დავივიწყოთ ყველა ის ფაქტები, რომლებიც თვითმპყრობელობას გვაგონებს, მაგრამ ისტორია არ დაივიწყებს ამას... ჩვენ ენერგიულათ უნდა გავსცეთ პასუხი ასეთ გამოსვლას, რომ ბოლშევიკებს არ მივსცეთ საშუალება ასეთივე თავდასხმა მოახდინონ დამფუძნებელ კრებაზე: ისინი ხომ მზათ არიან ყველანი გაანადგურონ, ვინც მათ შეხედულებას არ იზიარებს; მაშასადამე, თუ დამფ. კრება მათ ტაქტიკას არ მიიღებს, ისინი უსათუოდ ეცდებიან მის გარეკვასაც. ბოლშევიკი ათაბეგოვი პროტესტს აცხადებს თავმჯდომარის და კრების წინაშე ამ საკითხის დაყენების გამო, რადგანაც—ამბობს იგი—ჩვენს ხელთ არ არის ნამდვილი ცნობები ამ ფაქტის შესახებ. **ნ. რამიშვილი.** ათაბეგოვის განცხადება საუკეთესო მსჯავრის დადებაა ბოლშევიკების გამოსვლაზე: ის ვერ ახერხებს გაამართლოს ბოლშევიკების გამოსვლა. ჩვენ გვაქვს ამ ფაქტის შესახებ ცნობა მოსკოვის თვითმმართველობის თავმჯდომარის მინორისაგან, ბოლშევიკების ტერორისტულ გამოსვლათა შორის, მოსკ. თვითმმართველობის გარეკვა უდიდესი დანაშაულია რუსეთის რევოლიუციის წინაშე: ეს დემოკრატიის გულში ლახვარის ჩაცემაა. რადგანაც ბოლშევიკებიც კი ვერ ამართლებენ ამ მოვლენას, ცხადია, მათაც საზიზღარ მოქმედებათ უნდა აღიარონ იგი.

ბოლშევიკები უხერხულობას გრძნობენ. რომ გამოვიდნენ ამ უხერხულობიდან სიტყვას იღებს **ფ. მახარაძე.** მე მაკვირვებს თავმჯდომარის მოქმედება: რათ აძლევს ორატორებს ნებას ასეთი დემაგოგიით გამოვიდნენ (თავმჯდომარე სთხოვს ორატორს, ნუ შეურაცხყოფს იმის გულისთვის, რომ ის არჩევს დემაგოგიას არა დემაგოგიისაგან). აღნიშნული გამოსვლა არ მოეწყოთ ბოლშევიკებს... არამედ სრულ. რუსეთის მ. და ჯ.-კ. დეპ. ყრილობამ... უადგილოა და აღმაშფოთებელი ახალ მთავრობის მოქმედების თვითმპყრობელობის მოქმედებასთან შედარება. თქვენ გამოდიხართ საყოველთაო საარჩევნო უფლების დასაცავათ (ნ. [illegible] ადგილიდან: „დიახ!"). მაგრამ მოსკოვის [illegible] ბურჟუები სხედან... [illegible] ითვლება, თითქოს ჩვენ უპასუხისმგებლო ჯგუფი ვიყოთ, როდესაც ჩვენ უკვე ჩავიგდეთ ხელში ძალა-უფლება (საერთო სიცილი). თუ ცნობები მართალია, ეს მოქმედება მაინც შეეფერება თავის დანიშნულებას, ვინაიდან იცავს მუშათა კლასის ინტერესებს (სიცილი)... რეპრესიებზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ არ ვაწარმოებთ რეპრესიებს (ადგილიდან ნ: „პლეხანოვი?")... ბურჟუაზიული პრესა ჭორებს ავრცელებს; ნამდვილ ცნობებს აქ ვერ ღებულობთ; გაზეთები სტყუიან (ადგილიდან: „ნოვაია ჟიზნი?") ისიც სტყუის. (სიცილი და ტაშის ცემა უკანასკნელ განცხადების გამო)... საბჭოს არ შეუძლია არავითარი გადაწყვეტილება გამოიტანოს ამ საკითხის შესახებ. თარხანოვი (ს.-რ.) უკიჟინებს ბოლშევიკებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ ბრძანებას, რომელიც მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის გარეკვას შეეხება. კამათი სწყდება. საბჭო იღებს თარხანოვის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას: „მოისმინა რა მოხსენება ხმ. ხუდადოვისა მოსკოვის ქალ. საბჭოს გარეკვის შესახებ, თფ. ქალ. საბჭო პროტესტს აცხადებს პოლიტიკური ბრძოლის ასეთ საშუალებების წინააღმდეგ. ხედავს ამაში რევოლიუციის ერთ მონაპოვარზე თავდასხმას და სალამს უძღვნის მოსკ. ქალ. საბჭოს, რომელიც შეუდრეკლათ სდგას თავის „პოსტზე" და არ ემორჩილება მოძალადეთა ჯგუფს. საბჭო მოუწოდებს ამიერ კავკასიის ქალაქთა თვითმართველობებს, შეუერთდენ ამ პროტესტს". რეზოლიუციას ოთხმა წინააღმდეგ მისცა ხმა და ორმა თავი შეიკავა.

რიგ გარეშე განცხადებების შემდეგ კრება გადადის დღის წესრიგის განხილვაზე. ქალ. თავი ნ. ელიავა აკეთებს მოკლე მოხსენებას ამიერ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების სიეზდის შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს 30 ნოემბერს. სიეზდის მომწყობ კომიტეტში შედიან: გამგეობა სრული შემადგენლობით, საბჭოს პრეზიდიუმი და 6 წარმომადგენელი სრ. რუს. ქალაქთა კავშირის ამიერ. განყოფილების მთავარ კომიტეტიდან. წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: 20 ხმოსნიდან ერთი წარმომადგენელი. ამ რიგათ, ყველა ქალაქებს ეძლევა საშუალება გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სიეზდზე. საბჭომ მოიწონა ეს განზრახვა და ნება დართო გამგეობას საჭირო ხარჯებისა.

შემდეგ ქალ. თავი იძლევა ცნობებს თვითმმართველობისთვის ბინების რეკვიზიციის უფლების მიცემის შესახებ. ის ამბობს, რომ გამგეობამ ამის შესახებ ერთხელ უკვე მიმართა „ოზაკომს", მაგრამ მან ვერ მისცა გამგეობას გარკვეული პასუხი და თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა დრ. მთავრობის წინაშე. ქალ. გამგეობას არ შეუძლია ელოდოს 3 [illegible] და ამიტომ მან შეუდგა ამ უფლების ზოგიერთ შემთხვევაში ცხოვრებაში გატარებას. ამან გამოიწვია საჩივარი ზოგიერთ [illegible] ვექილების მხრივ, რამაც ზოგიერთი უსიამოვნება დაბადა. რადგანაც დღეს დღეობით არ გვყავს ცენტრალური მთავრობა, ამიტომ გამგეობას მიუმართავს ამიერ კავკასიის საზოგადოებრივ უშიშროების კომიტეტისთვის, რათა მან სანქცია (დამტკიცება) მისცეს ამ სფეროში გამგეობის მოქმედებას და ადგილი არ ქონდეს ადგილობრივ სასამართლოებში ხსენებულ ხასიათის საჩივრებს. კრება იღებს ამ განცხადებას.

დიდი კამათი გამოიწვია თფ. ქალაქის თვითმმართველობის და ტრამვაის კონტორის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საკითხმა. ილაპარაკეს მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ის მოთხოვნილება, რომელიც მათ პირველად წარმოადგინეს, თუ საკითხში სიძვირის თანდათანობით გაზრდის თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, სრულიად სამართლიანია. იგი ბევრად არ არ აღემატება საცხოვრებელ მინიმუმს. მაგრამ, იღებენ რა მხედველობაში, რომ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა უმძიმესია, ისინი მიდიან დათმობაზე და შესაძლებლობის ფარგლებში ამცირებენ თავიანთ მოთხოვნილებას სასიხარულო იყო მუშების ასეთი განცხადება, ვინაიდან ისინი სავსებით ითვალისწინებენ, როგორც თავიანთ მოთხოვნილებებს, აგრეთვე ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობასაც. მაგრამ ბოლშევიკებმა აქაც სხვა პოზიცია დაიჭირეს.

მათი წარმომადგენელი ათაბეგოვი არ უწევს ანგარიშს ქალაქის ფინანსიურ სახსრებს, ტოვებს შეთანხმებით გამომუშავებულ ციფრს და მუშებსაც აქარბებს მოთხოვნილებაში. ამაზე ქალაქის თავი ნ. ელიავა შენიშნავს, რომ მუშები ფინანსების უფრო კარგი მცოდნენი აღმოჩნდენ, ვინემ [illegible] ბოლშევიკების ფრაქციიდან. დიდი ხნის კამათის შემდეგ საბჭო ამტკიცებს გამგეობის მოხსენებას, რომლის თანახმადაც მოსამსახურეთ მომატება მიეცემათ პირველ ოქტომბრიდან.

კრების ბოლოს საბჭო ირჩევს ხუთ წარმომადგენელს ქართულ ეროვნულ ყრილობაზე. აირჩიეს: მ. რუსია, კ. ჯაფარიძე, ნათაძე, ჯავახოვი და ზ. მეხიშვილი. სხვა საკითხები სიმცირის გამო კრებამ შემდეგ სხდომისათვის გადასდო, როდესაც პირველად სასურსათო საქმის თვითმმართველობის ხელში გადაცემის საკითხი გაირჩევა.

მ. ხაჩუა.

გურიის მეურნეთა კრების საყურადღებოთ

როგორც „ერთობის" მკითხველთ მოეხსენება, გურიის მეურნეთა კრება პირველად მოწვეული იყო 24 სექტემბერს, ვინაიდან ამ დანიშნულ დღეს სოფლის მეურნეთა საკმაო რწმუნებულნი არ გამოცხადდენ, კრება გადაიდო შემდეგი დროისთვის. ყველასათვის ცხადია, რომ ხალხის წინმსვლელობა და აღორძინება დამოკიდებულია მათ მეურნეობის წინმსვლელობაზე: რამდენად მეურნეობა წინ მიდის, იმდენად ხალხიც ეკონომიურად წინ სდგას, პირიქით, მეურნეობის შეფერხებას თან მოსდევს ხალხის ეკონომიური ჩამორჩენა—დაუძლურება და სხვა... გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გურიის მეურნეობა სასურველ ნიადაგზე არ არის დაყენებული, ის ისევ ძველებურად მამაპაპურად მიმდინარეობს, გამონაკლის შეადგენს ჩაის, მანდარინის და სხვა თბილი ქვეყნების მცენარეების მოვლა-მოშენება, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული და სასურველი ნაყოფიც გამოიღო გურიაში; რაც შეეხება მებაღეობას, მეღვინეობას, მევენახეობას, ხვნა-თესვას და სხვას, ამ დარგებში თითქმის ჯერ არაფერი არ გაკეთებულა. მართალია, გურიაში შეხვდებით ხილის, ხეხილის და ვაზის ბაღ-ვენახებს, მაგრამ ესენი ბაღ ვენახები უფრო მამაპაპური ნამოქმედარის მოგვაგონებს, ვიდრე ახალი წესით მოვლილ-მოშენებულს. გამონაკლისს შეადგენს ზოგიერთი მებაღეების ბაღ ვენახები, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთად უნდა ჩაითვალოს. შემთხვევით მქონდა გურიის მეურნეთა კრების პროგრამმა გადამეთვალიერებინა. პროგრამმაში აღნიშნული იყო მოხსენებები თითქმის მეურნეობის ყველა დარგიდან, გარდა მევენახეობა-მეღვინეობისა, რამაც განცვიფრებაში მომიყვანა. ამ მოვლენას მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე და გამოვსთქვი სურვილი, რომ, თუ 24 სექტემბერს მეურნეთა კრება შესდგებოდა, წავიკითხავდი მოხსენებას შემდეგ საკითხზე: „რით აიხსნება გურიაში ნამყენი ვაზის უვარგისობა, ხალხის გულის აცრუება ნამყენ ვაზზე და მევენახეობის აღსადგენი საშუალებები". დანიშნულ დღეს კრება არ შესდგა და მე სამსახურის გამო იძულებული ვიყავი გურიიდან წამოვსულიყავი და ცნობის გვიან მიღების გამო ვეღარ დავესწარი 10 ნოემბრის ხელმეორედ დანიშნულ მეურნეთა კრებას. ამ, ჩემგან წამოყენებულ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა უნდა ეკისრა ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, მას უნდა გამოეგზავნა 10 ნოემბრის კრებაზე დასასწრებლად თავის წარმომადგენელი, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ [illegible] ცნობდა გურიისათვის ნამყენი ვაზით ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების განახლებას ან კიდევ სამუდამოთ უარს ყოფდა მას. დარწმუნებული ვარ, ეს აგრეც მოხდებოდა და თუ გურიის მეურნეთა კრება უყურადღებოთ დასტოვა ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა, ეს მას მომავალში ცუდად ჩაეთვლება, მით უმეტეს, რომ ნამყენი ვაზი გურიაში 20—25 წლიწადი მაინც იქნება რაც შემოვიდა, მას აქეთ კმაყოფილების მაგივრად [illegible] გვესმის ნამყენ ვაზზე და ახლაა ის დრო, თუ ჩვენ ეხლავე არ დავეხმარეთ სოფლელ მეურნეთ, გურულმა ხალხმა სამუდამოთ უარი ყოს ნამყენი ვაზით ვენახის გაშენება. ვიმედოვნებ, რომ 10 ნოემბრის კრება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა მევენახეობის გურიის ამ მწვავე საკითხს და თუ ეს არ მოხდა, მაშინ გაზეთის საშუალებით მივმართავ თხოვნით გურიის მეურნეთა კრების მომწვევ ხელმძღვანელთ, რომ ამ მომავალ დღესასწაულებში მოიწვიონ განსაკუთრებით გურიის მევენახეთა კრება ამ ზემოთ მოყვანილ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. დასასრულ, დარწმუნებული ვარ, რომ გურია მევენახეობა მეღვინეობის მხრივ მეორე კახეთი არ გახდება, მაგრამ ამასთან ისიც მჯერა, რომ გურიის ზოგიერთი ადგილები, ახლო მომავალში საპატიო ადგილს დაიჭერენ ჩვენი ქვეყნის მეღვინეობა-მევენახეობაში.

მეურნე-მევენახე **კოტე ნაკაშიძე.**

სოც.-დემ. პარტიაში

თელავი. 16 ნოემბერს მოხდა მესამე რაიონულ კოლ. წევრთა კრება. კრებას დაესწრო 11 წევრი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება არჩევნების შესახებ, 2) იარაღის საკითხი, 3) დამფუძნებელ კრ. მომუშავეთათვის ქირა, 4) მეგაზეთის ჯამაგირის მომატება, 5) 19 ნოემბრის ლექციის გამართვა, 6) სარევიზიო კომისიის არჩევა და წევრთა საზოგადო კრება.

არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. აფხაზავამ. ვინც იცნობს ადგილობრივ და აქ გაბატონებულ დაშნაკცუთუნის პარტიას,—ამბობს ორატ.,—იმისთვის გასაგებია ჩვენი მუშაობა. მაშინ, როცა სხვა პარტიებზე [illegible] ფული იქმნება დაწერილი ჩვენ ხელფასად და სიწორით ჩატარებული არჩევნები, როგორც შეეფერება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. იარაღის მოტანა დაევალა კომისიას [illegible], რომელიც დარჩენილია მოიტანს სახლიდან, ვინაიდან ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან სროლა და [illegible] აქვს ადგილი. ამით, ვინც არჩევნების დროს ჩვენთან მუშაობდა და ჯამაგირი დაწესებული არ ჰქონდათ, მიეცეს ქირა. კოლექტივ ადგენს: ვინაიდან 110 მ. დღევანდელ ცხოვრებისათვის არ კმარა, მეგაზეთეს გაუდიდოთ ჯამაგირი 150 მან.-მდე. გადაწყდა გამართოთ 19 ნოემ. საღამოს 7 საათ. გამართოს ლექცია ქართულ და რუსულ ენებზე. გარდა ამისა კოლექტივმა აირჩია სარევიზიო კომისია, რომელიც რევიზიას გაუკეთებს კანცელარიის საქმის წარმოებას; სარევიზიო კომ. არჩეულია ამხ. გ. აფხაზავა, სინაურიძე და ჯამბურიძე. 26 ნოემბერს მოწვეულ იქნება წევრთა საზოგადო კრება.

იპ. ქ—ვა.

—

ქ. სადილანი. არც ქ. სადილანში და არც მთელს ჯავახეთის მაზრაში დღემდის არ არსებობდა რ. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) ორგანიზაცია. ასეთ ორგანიზაციის დაარსების მიზნით 29 ოქტომბერს მოწვეულ იქნა სადილანის მცხოვრებთა კრება. კრებას დაესწრო გლეხთა ცენტრის და რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიაში არჩევნების სახელმძღვანელოდ გაგზავნილი ამხ. თ. ლიკაბიძე, რომელმაც გააცნო დამსწრეთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი და პროგრამმა. ამის შემდეგ ერთხმად მიიღეს წინადადება დაარსდეს ადგილობრივი ს. დემოკრატიული ორგანიზაცია. წევრებად ჩაეწერა 30-ამდე კაცი. პრეზიდიუმში აირჩიეს გ. კურბან-ოღლი (თავმჯდომარე), ალი-გასან-ოღლი და არასტულ ალიოღლი, (თავმჯდომარის ამხანაგები), აბდულ-გასან-ოღლი (მდივანი). მდივანს დაუნიშნეს ჯამაგირათ 100 მან. თვეში, საწევრო გადასახადი დააწესეს 1 მან. თვეში. ამასთანავე ყველა წევრებმა შეაგროვეს თავიანთ შორის 70 მან. ახლად დაარსებულ ორგანიზაციის სასარგებლოთ. წევრთა ჩაწერა გრძელდება.

31 ოქტომბერს გ. კურბანოღლის თავმჯდომარეობით შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა კრება. აირჩიეს სამაზრო დამფუძნებელ კრების საარჩევნო პარტიული კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. თ. ლიკაბიძე; მდივნად აბდულ გასან-ოღლი; წევრებად—გ. კურბანოღლი და ალი-გასან-ოღლი. კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელს მაზრაში მუშაობს პროპაგანდისტთა ჯგუფი, მოეწყო აგრეთვე მფრინავი რაზმები.

თ. მაშაშვილი.

ჯარის-კაცთა წერილები

ნება მომეცით პასუხი გავსცე ამხანაგ გეწაძეს, რომელიც სწერს თვრამეტ ნოემბრის „ერთობაში" ჩვენზე საყვედურს, ვითომ, ს. ნიკოლეიშვილი და სხვა რამდენიმე ამხანაგები ხელს უშლიდენ მათ მეცადინეობაში და ხალხს ეუბნებოდენ სწავლა-განათლება გადასახადი არისო. ამაში გეწაძე დიდათ სცდება. სასიამოვნო ჩვენ გვქონდა, რომ საქმის გაუცნობლათ უნდოდა მას ამხანაგები შეეძინა და ისე შეედგინა ქართული ბათალიონი. პირველათ მოგვიწოდეს და გამოგვიგზავნეს შემდეგი სია, რომელშიაც ეწერა უნდა გამოეწერათ ყველა პარტიული პროგრამმები, ქართული წიგნები, სასწავლო დაფა ენა და რვეულები. ეს ჩვენ ძალიან გაგვეხარდა და ყველამ სიხარულით მოვაწერეთ ხელი და თითო-ოროლა მანეთი არავის დაუშურებია, მხოლოდ ჩვენ როგორც გავეცანით, ისინი უმეტესათ მეცადინეობდენ, ჩვენი შეხედულებით, ქართული ბათალიონის შედგენას და ამაზე კი თამამათ შეგვიძლია ვსთქვა—უარი გავეცხადეთ და ჩვენი გადახდილი ფულის უკან დაბრუნება ვთხოვეთ მიტომ, რომ ჩვენ ფული შევაწიეთ წიგნებისა და პროგრამმების გამოსაწერათ და არა ქართველ ბათალიონში ჩასაწერათ. ქართველების ბათალიონში გადაწერაზეც მიტომ გადავცხადეთ უარი, რომ სარწმუნო წყაროდან არ გვქონია გაგებული და თუ გავიგებდით, უფრო სარწმუნო ადგილებიდან, მე დარწმუნებული ვარ, არც ჩვენი ამხანაგები ჩამორჩებოდა უკან ჩვენ მოწინავე ამხანაგებს და ამისთვის მე მგონია შეუწყნარებლათ და საქმის ამრევათ არ უნდა ჩაგვითვალოთ და თუ ამხანაგი გეწაძე უკეთეს შეგნებულათ თვლის თავს, კარგი იქნება, იქონიოს მსჯელობა მის ამხანაგებში და თავი დაანებოს „ჩინოვნიკების" წესში დგომას.

ჯარისკაცი **ს. ნიკოლეიშვილი.**

ერზინჯანიდან. ამ პატარა წერილით, მინდა მივმართო იმ ამხანაგებს, რომლებსაც რომანოვების ტახტის დასაცავათ ჰქონდათ სიცოცხლე განწირული. ზოგიერთმა ორი წლიწადი ნახევარი სანგრებში გაატარეს თავიანთი სამსახური. შენიშვნა არ ქონდათ მიღებული. იცოდენ ყოველგვარ დასცინოდნენ. მათი ჯამაგირი უდრიდა 75 კაპ., ხან ისიც არ ეძლეოდათ, და ნუ თუ დაავიწყდათ ის დრო? დილიდან დაწყებული შუაღამემდე არ ჰქონდათ მოსვენება, მაგრამ ერთგულათ კი ემსახურებოდენ. დღეს კი, როგორც მიეცათ მათ თავისუფლება, გაუდგენ სახლისკენ. მაგრამ იმათთვის სულ ერთია: გარჩევა არ აქვს დრო კი გამოცხადდენ ეს პირები თავიანთ ნაწილებში*).

ჯარისკაცი **შ. თ. ბატარა-კახელი.**

ქ. ხნისკალა (ოსმალეთი). მე 14 ბათალიონის მე-7 როტა. 4 ნოემბერს აქ მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ჯარის კაცები არჩევნებს დიდი აღტაცებით შეხვდენ, არავითარი უთანხმოებას ადგილი არ ქონებია, და არჩევნებიც წესიერად ჩატარდა. საარჩევნო სია შესდგებოდა 156 ამხანაგისგან, ამაში 113 ხმა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა, (მენშევიკებმა) 40 ხმა მიიღო სოციალისტ-რევოლუციონერებმა, 2 ხმა მიიღო უკრაინელთა ბლოკმა და 1 ხმა ბოლშევიკებმა. აქაურმა ქართველმა ჯარისკაცებმა ნებით გამოუცხადეს სოც. დემ. (მენშევიკებს) არა მარტო ხმის მიცემით, არამედ საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ წვლილის გაღებითაც, რომელიც შეგროვილი იქნა რამოდენიმე დღის წინათ. 5 ნოემბერს ქ. ხნისის სახალხო სახლში, გაიმართა ქართული წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნა კომედია ორ მოქმედებად: „რაც არ გეგონება, არ შეგრჩება". საზოგადოება ბლომათ დაესწრო, დაესწრენ როგორც ქართველები, აგრეთვე რუსები და სომხები. წარმოდგენა მშვენივრად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე. იმედია შემდეგშიაც გამართავენ წარმოდგენებს.

ჯარისკაცი მირიან ს. მეგელაძე.

---

*) ასეთ პირებს ჩვენ მოვუწოდებთ გამოცხადდენ ახლად შემდგარ ქართულ კორპუსის რომელსამე ნაწილში. კანონით ეს ნება დართულია. ყოველ ქართველ ჯარის კაცის მოვალეობას შეადგენს ქართველ პოლკში ჩაეწეროს. რედ.

პროვინციის ცხოვრება

სად. აჯიკაბული. 8 ნოემბერს, როცა საფოსტო მატარებელი № 4 მოვიდა ვაგონებში [illegible] სარევოლუციო თავდაცვის კომიტეტის მოწოდებანი. ამ დროს მოვიდა ადგილობრივი ჯარისკაცი, წაიკითხა [illegible], როცა გაიგო [illegible], დაიყვირა: „ტავარიშჩი პამაგიტე"-ო და რომ მოსახლეობის აღელვება თავიდან აეცილებინა, მიეცა მოწოდებები, რაც დახია და გადაყარა. მოგროვდა ხალხი, ჯარისკაცები, აგრეთვე მოსამსახურეები და ყველანი ზიზღით აღივსენ, რის გამო იძულებული ვიყავი აღელვებული ხალხი დამეშოშმინებინა. ნახევი მოწოდებები დაიტაცეს უმთავრესად მეზარბაზნე ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა. მატარებლის წასვლის შემდეგ მივედი როტაში და თან გავყევი ადმინისტრაციულ კომ. თავმჯდომარე. ჩვენ ვეკითხეთ როტის თავმჯდომარე და ოთახში შესვლის დროს დაგვხვდა შემთხვევით ხსენებული ჯარის-კაცი და ამ დროს შემოვიდა სოც.-რევოლ. რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე (ჯარისკაცია). ჩვენს შეკითხვაზე,—თუ რით ხსნიდენ ასეთ—[illegible] (სოც.-რევოლ.ც.) თავმჯდომარე „კარგათაც უქნია, მან ამის უფლება ჰქონდა"-ო. [illegible] შემდეგ გადავიდა მუქარაზე და ლანძღვა-გინებაზე. (თითონ კი გაბრაზებული, მთვრალი იყო) და რადგან მათთან არავითარი პოლემიკის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ჩვენც გავშორდით. მერე ერთ დღეს დიდით გამოაკრეს განცხადება, ს.-რევოლ. იწვევდენ არა პარტიულ კრებას. საღამოს 4 ს. შეიკრიბნენ სოც.-რევოლ. პარტიის რამდენიმე წევრები. კრებას თავმჯდომარეობდა ხსენებული პარტ. თავმჯდომარე. ჩამოსული იყო ვიღაც ჯარისკაცი. კრებას გააცნო ბოლშევიკების გამოსვლა და მოითხოვდა მხარის დაჭერას, რასაც ტაშის-ცემით შეეგებნენ. [illegible] მცხოვრებნი [illegible] გაკვირვებით ეკითხებოდენ ერთმანეთს: „რა აქვთ საერთო ბოლშევიკებს და სოციალ-რევოლუციონერებს"-ო.

მინდა გაცნობოთ ჩვენი სოც.-დემ. რაიონული ორგანიზაცია არჩევნებისათვის. მუშაობს მონაწილეობის [illegible] პარტიის წევრებიც. 26 ნოემბრიდან დაიწყება არჩევნები. მოვუწოდებთ ყველა პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ მოემზადონ ამ დღესასწაული დღისთვის, მეტი ენერგია, მეტი სიფხიზლე! დღეს გულგრილობა არც ერთს პარტიის წევრს არ ეპატიება. ჩვენს ორგანიზაციას ეკისრება სად. უჯარიდან სად. ალიატამდე. მართალია, ტეხნიკურათ მუშაობა ძნელია რადგან დახლოებით 156 ვერსტის მანძილზე ვეხებით მუშაობა, მაგრამ ყოველი დაბრკოლება გადალახული უნდა იქნას, რათა არ უნდა დავეჯახოთ ეს.

აქვე დღემდი ჯგუფი, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა იკისროს, საარჩევნო კამპანიაში. ჯგუფში მიიღება პარტიის თანამგრძნობნიც. მოვუწოდებ ამხანაგებს, რაც შეიძლება, მეტმა მიიღოს მონაწილეობა. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე ადგილობრივ სოც.-დემ. ბიუროში დილით 10—12 საათამდე და საღ. 4—6 ს.

ალ. გოგიბერიძე.

ახალ სოფლის საზოგადოება (გორის მაზრა). ამ ოქტომბრის 16-ში იყო [illegible] ქალაქ გორში სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დელეგატებისა. იყვენ დელეგატები სხვადასხვა კუთხიდან. საქართველოსანაც და ოსეთიდანაც. ოსები—ჯავის ხეობა, როგორც საზოგადოება, ყოველთვის—ყველანი თითქმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თანაუგრძნობენ. ხშირად ხდება იქ, [illegible]. ინტელიგენცია ოსეთისა მუშა ხალხს ამოუდგა გვერდში და დახმარებას უწევს. ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც არის ქელეხები და ქალის გათხოვებაზე „ირადი" ჯავის ხეობაში ეს ზნე ჩვეულება თითქმის სრულიად მოისპო. მხოლოდ სამწუხაროდ აქ ჩვენს ახალსოფლის საზოგადოებას არავინ ჰყავს წინამძღოლი. აქვე არც ერთი ინტელიგენტი არ მოიპოვება. არც სხვა მხრიდან უწევს ვინმე დახმარებას. აქაური ხალხი სოციალ-დემოკრატიას თანაუგრძნობენ, მაგრამ მარტო ნადელს ყურადღებას აქცევს. გორში, 16 ოქტომბერს ჩვენს ახალსოფლის საზოგადოებიდან არც ერთი დელეგატი არ დასწრებია.

ამ საზოგადოებაში თითქმის 500 კომლია. ყველანი ოსები არიან, ცოტა მთიულების გარდა. კითხვა იყო სკოლების შესახებ. ამ საზოგადოებაში ერთათ-ერთი სასწავლებელია. სიშორის გამო და უვარგისი გზების მიზეზით მასწავლებლებიც არ დგებიან. ჩვენს სასწავლებელში ეხლა აქაურმა მცხოვრებმა, დავით გაგლოევმა, ითხოვა მასწავლებლობის ადგილი და დაიწყო კიდეც მეცადინეობა წარსულ ოქტომბრის 2-დან. იმედია, უკეთესათ წავა სკოლის საქმე. აქაური ხალხი ეძებს პროპაგანდისტებს. ძლიერ სურთ გაიგონ, რა ხდება საქართველოში და რუსეთშიაც. აქ არიან ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ ოსურათ გადაუთარგმნონ ხალხს.

აქ ყრილობა იშვიათად ხდება, ისიც თუ რამე საქმე არჩევა „სუდში", თორემ სხვა წინაურ საქმეებზე კი არავინ აძლევს ყრილობას. კომისარი არ აძლევს ყრილობას და ხალხიც არ არის ჯერ შეჩვეული მას. არ არის აქეთ არსად აგრეთვე კოოპერატივიც. ხალხი მოწადინებულია მის დაარსებას, მაგრამ არავინაა, რომ აწარმოოს კოოპერატივის საქმე.

ხიონ.

სოფ. [illegible] (ქვედა [illegible], გურია, ასკანის საზოგადოებაში), ადგილობრივ მოწინავე პირთა ინიციატივით გაიხსნა წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც ძლიერ ღარიბია და თითქმის არ მოიპოვება არავითარი ჟურნალ-გაზეთები; ამიტომ მოვუწოდებთ ამ სოფლის მკვიდრთ, რომელნიც სხვადასხვა ქალაქებში იმყოფებიან, და ყველა იმათ, ვისაც გული შესტკივა ასეთ კულტურულ დაწესებულებისათვის, კერძო შემოწირულებით, თუ ნაცნობ-მეგობრებში შეგროვებით, დახმარება აღმოუჩინონ ახლად დაარსებულ [illegible] სამკითხველოს. ყოველივე შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: Озургеты Хидистави сел. Аскана, учительницѣ Марьѣ Ивановнѣ Талаквадзе.

მონდობილობით გამგეობის წევრი: მასწავ. მარია თალაკვაძე.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად გამოაცხადოთ, რომ მოყვანილ წერილები, რომლებიც იყო მოთავსებული თქვენ პატივცემულ გაზეთში ქართულ ბათალიონზე მე არ მეკუთვნოდენ, ამას მე ვაცხადებ მიტომ, რომ არაა ერთხელ [illegible] ამ [illegible] და რამოდენიმე ოფიცრებმა, ვითომც ჩემი წერილი ყოფილიყოს. ვაცხადებ და გთხოვთ გამოაცხადოთ, ეს რომ ჩემი დაწერილი არ ყოფილან ის წერილები.*)

პატივისცემით პოდპორუჩიკი ა. გორგაძე.

ღია წერილი

მღვდ. მ. თეოფილაქტე ლაფერაშვილს.

თქვენ ოფიციალ მოხსენებაში, რომელიც წარუდგინეთ თფილისის 1-ს პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის გამგეს, მ. აფ. ჯაფარიძეს, თქვენ აცხადებთ შემდეგს:

„მღ. ქ. თხინვალელი სამღვთო სჯულის გაკვეთილებს აძლევდა (თფილისის პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში) იმიტომ კი არა, რომ მე (ე. ი. მ. ლაფერაშვილი) დატვირთული ვიყავი გაკვეთილებით სხვა სასწავლებლებში, არამედ იმიტომ, რომ მღ. ქ. თხინვალელი მიჩიოდა თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორებთან და ეწეოდა პოლიტიკურ დასმენებს ჩემზე ჩემს სასულიერო მთავრობასთან და ერთი ამ დასმენების საქმეთაგანი ინახება ყოფილ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში".

ვგრძნობ რა ამ განცხადებით ცილს შეურაცხყოფას, რადგან იგი სრული ცილისწამებაა, ამისთვის გთხოვ სამღვდელმთავრო სასამართლოში დაამტკიცო სინამდვილე თქვენ მიერ ჩემდამი წამოყენებულ მძიმე ბრალდებისა. ჩემის მხრივ მედიატორებად ვასახელებ ვლ. გ. ახმეტელაშვილს და არ. ან. მამულაიშვილს. წინადადებას გაძლევ სამი დღის განმავლობაში თქვენის მხრივ დაასახელოთ ორი კაცი, რომელნიც ჩვენი საქმის გარჩევის დღისა და ადგილის შესახებ შეეკითხებიან გაზ. „ერთობის" რედაქციაში მ. ვლ. გ. ახმეტელაშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიტოვებ უფლებას თქვენ საქციელს შესაფერი სახელი ვუწოდო.

მღვდელი ქრისტეფორე თხინვალელი.

1917 წ. 15 ნოემბერი.

---

*) პოდპ. ა. გორგაძეს ქართულ ბათალიონიდან ხსენებული წერილები ჩვენთვის არ მოუწოდებია. რედ.

სახალხო სახლი.
სახ. სახ. არას. ქართვ. წარ. მმარ. წრის მიერ
კვირას 19 ნოემბერს, წარმოდგ. იქნება
[illegible]
კომ. 4 მ. [illegible]
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ც. ამირეჯიბი, ელ. ბარათაშვილი, ნ. ნინონი, ელ. იანქოშვილი, შავურელი. ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ბ. მამაჯანოვი და ა. თავდგირიძე.
ადგილების ფასი 1 მ. 20 კაპ.-დან 25 კაპ.-დე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარ. 25 ნოემ. რეჟ. ქ. შათირიშვილი.

კბილის საექიმო
და დამზადებით ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
ბ. ზაიკინა-მინკარევის
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დილით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, [illegible] პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ-ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გურიის ქ. № 6 (დიდუბე).

მედიცინის დოქტორი
ბ. ბ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა ⓒ განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. [illegible] ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავათმყოფობანი და ავათმყოფობანი კუჭისა, გულისა, ცხვირისა და თვალისა. მიიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. შაბათობით უფასოთ, [illegible] ქ. 26.

ექიმი
ბ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავათმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი ⓒ ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი ვ. გ. მუხაძე
იღებს საოპერაციო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ხაზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხუბაშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს
5—6 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, [illegible] სახლი. ტელეფ. 15—00.

მოქალაქენო!

5 აგვისტოს 1917 წლის ბინის კანონის ძალით თფილისის ქალაქის საბჭომ დააარსა თფილისში ექვსი მომრიგებელი ბინათა კამერა, თითო ყოველ ორ სამილიციო უბანში.

კამერათა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევს კანონის ძალით ქალაქის საბჭო, რის გამო თფილისის ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე 16 ოქტომბერს აირჩია ექვსი კამერის თავმჯდომარე და მათი მოადგილენი.

კამერების წევრთა შემადგენლობა თანაბარია, ე. ი. მდგმურები და სახლის პატრონები ირჩევენ თანასწორ რიცხვს თავიანთ წარმომადგენლებისას. ყოველ კამერაში არჩეული უნდა იქნან 24 წევრი. ამათგან 12 ირჩევს მდგმურები და 12 სახლის პატრონები.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვისაც კი ჰქონდა ხმა საქალაქო არჩევნებში.

ყოველ ორ მეზობელ მყოფ სამილიციო უბანში მოწვეულ იქნება თითო კრება სახლის პატრონებისა და მდგმურებისა.

კრებები ყველა უბნებისათვის დანიშნულია კვირას 19 ნოემბერს დილის 12 საათზე.

ადგილები სახლის პატრონთა კრებებისათვის:

მე-5—მე-8 უბანი—სახელოსნო სკოლაში, ეგზარხოსის მოედანზე.
მე 6—მე-7 უბანი—მე 5 ვაჟების გიმნაზია, პეტრე-პავლეს მოედანზე.
მე 11—მე 12 უბ.—ნაძალადევის თეატრი,

რამდენიც არ უნდა გამოცხადდენ დამსწრეთა რაოდენობა, კრებები კანონიერად ჩაითვლებიან.

(2—2)

თფილისის ქალაქის გამგეობა.